პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 294 (10991) | კვირა, 15 დეკემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

სოფლის კომუნისტთა საბრძოლო ამოცანები

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა მძლავრი აღმავლობა გამოიწვიეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვამ საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციამ და მშვიდობის მანიფესტმა.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის, განსაკუთრებით ჩაის ფოთლისა და ყურძნის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამას წინათ თბილისში გამართულ მეჩაიეთა და მევენახეთა თათბირების მუშაობას და ამ თათბირების მიერ მიღებულ ღონისძიებებს.

ბევრი სასოფლო პარტიული ორგანიზაცია სათანადო ღონისძიებებს არ ახორციელებს შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. გასულ წელს ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებში მუშახელის დაქირავებაზე გაცემულია 2.511 ათასი მანეთი, მაშინ როცა 1.700-ზე მეტ შრომისუნარიან კოლმეურნეს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ ჰქონდა გამომუშავებული.

ისევე როგორც მეჩაიეობა, მევენახეობაც საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. იგი ჩვენი რესპუბლიკის მშვენება და სიამაყეა. ამჟამად ვენახების ფართობი 60.604 ჰექტარს შეადგენს. მაგრამ მევენახეობის განვითარება მაინც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც ამ ერთი წლის წინათ მევენახეობისა და მებაღეობის განვითარების საკითხი განიხილა, ამოცანად დასახა მეექვსე ხუთწლედში გაშენებულ იქნას 23.000 ჰექტარი ვენახები. 1965 წლისათვის კი ვენახების ფართობმა 120.000 ჰექტარს უნდა მიაღწიოს. ამ გადაწყვეტილებამ რესპუბლიკის მევენახეთა ერთსულოვანი მოწონება და მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა. კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს ყველა პირობა და შესაძლებლობა აქვთ იმისათვის, რომ გაადიდონ ვენახების ფართობი და ყურძნის მოსავლიანობა. ამას ნათლად მოწმობს თელაველ და გურჯაანელ მოწინავე მევენახეთა გამოცდილება.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებებია აგროტექნიკის დონის ამაღლება, შრომატევადობა სამუშაოთა მექანიზაცია, ვენახების სიმჭიხრის ლიკვიდაცია. სამწუხაროდ, სასოფლო პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის როდი იჩენენ მზრუნველობას ამ ღონისძიებების განუხრელად განხორციელებისათვის. მარნეულის, კასპის, კაჭრეთის რაიონების ვენახებში დიდია სიმეჩხრე, მაგრამ პარტიის რაიონული კომიტეტები, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები სუსტად რაზმავენ მევენახეებს მისი ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად.

ახალი ვენახების გაშენების გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მაგრამ ბევრ რაიონში ასე არ ხდება. ახალი ვენახების გაშენებაში განსაკუთრებით შეუწყნარებლად ჩამორჩებიან გეგეჭკორის, ჭიათურის, ქარელის, ქუთაისის რაიონების კოლმეურნეობები, რომლებსაც მცირე ბრალი როდი მიუძღვით იმაში, რომ რესპუბლიკაში წელს ნაცვლად 3.500 ჰექტარისა მხოლოდ 3.280 ჰექტარი ახალი ვენახებია გაშენებული.

საქართველოს მეჩაიეთა და მევენახეთა წინაშე დასახულია დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანა — მთლიანად დააკმაყოფილონ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება სამამულო წარმოების ჩაით, ყოველი ღონისძიებით განავითარონ მევენახეობა და გაადიდონ ყურძნის მოსავლიანობა. სოფლის კომუნისტების მოვალეობაა კიდევ უფრო მჭიდროდ დაარაზმონ მშრომელთა ფართო მასები, პირადი მაგალითითა და მგზნებარე სიტყვით აღაფრთოვანონ ისინი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის მეჩაიეობისა და მევენახეობის მკვეთრი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა მოძრაობის შესახებ

14 დეკემბრის დილის 6 საათისათვის მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა 578 ჯერ შემოუარა დედამიწას. პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა ამ დროისათვის 1068 ჯერ შემოუარა დედამიწას მოწმენდილ ამინდში მეორე ხელოვნურ თანამგზავრზე დაკვირვება შეიძლება შეუიარაღებელი თვალით მზის ამოსვლის წინ ჩრდილოეთი განედის 15 გრადუსიდან 41 გრადუსამდე და მზის ჩასვლის შემდეგ სამხრეთი განედის 0 გრადუსიდან 15 გრადუსამდე. (საკდესი).

ნღიუარი გეგმა ვადამდე შეასრულეს

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. 10 დეკემბრისათვის აქ გადაჭარბებით რეალიზებულია წლიური პროგრამა. დავალების გადაჭარბებით საწარმოს კოლექტივმა გამოუშვა 600 ათასი მანეთის პროდუქცია. (საქდესი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საზეიმო პლენუმი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა პროფკავშირებისათვის ლენინის ორდენის გადაცემას, რომლითაც „ინი დაჯილდოებული არიან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ჩვენი დიადი სამშობლოს პროფკავშირების წევრთა, მუშა-მოსამსახურეთა სახელით გულითად მადლობას უძღვნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამ მაღალი ჯილდოსათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი სიხარულითა და ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ პროფკავშირების დაჯილდოებას ლენინის ორდენით და ეს მიიჩნიეთ იმის მკაფიო გამოვლინებად, რომ კომუნისტური პარტია ზრუნავს მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციების — პროფესიული კავშირების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის გაძლიერებისათვის.

საბჭოთა პროფკავშირების მთელი მუშაობა განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის მოღვაწეობასთან, მის გმირულ ბრძოლასთან მუშათა კლასის ინტერესებისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახელოვანი, მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა პროფკავშირებს დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერებისა და კულტურის განუწყვეტელი აღმავლობის საქმეში.

პროფკავშირები და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს, რომლებიც დასახულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ხელისუფლების მე-40 წლისთავს.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმი პირობას აძლევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ პროფესიული კავშირები ყოველ ღონეს იხმარენ ამ დიადი ამოცანების სრული განხორციელებისათვის ბრძოლაში, კიდევ უფრო ენერგიულად გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გაავრცელებენ წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას, ყოველი ღონისძიებით ეცდებიან მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას, როგორც კომუნიზმის მშენებლობაში ახალ გამარჯვებათა მიღწევის მთავარ პირობას.

საბჭოთა პროფკავშირები კიდევ უფრო აქტიურად გააწევენ ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას მშრომელთა ფართო მასებში, დარაზმავენ მათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, იბრძოლებენ, რათა ყოველი ღონისძიებით განავითარონ პროფკავშირების წევრთა თვითმოქმედება, რომელიც მთელი პროფკავშირული მუშაობის შემდგომი აღმავლობის საწინდარია, კიდევ უფრო ფართოდ ჩაებამენ მუშა-მოსამსახურეებს წარმოების მართვაში, გაუმჯობესებენ მთელი თავიანთი ორგანიზაციების მუშაობას, განამტკიცებენ კავშირს მასებთან.

კომუნისტური პარტია ყოველთვის ზრდიდა და ზრდის პროფკავშირებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა პროფკავშირები, ხელმძღვანელობენ რა დეკლარაციითა და მშვიდობის მანიფესტით, რომლებიც მიღებულია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირებზე, კვლავაც იბრძოლებენ სხვა ქვეყნების მშრომელებთან საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მეგობრული ინტერნაციონალური ურთიერთობის გასაფართოებლად, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში მუშათა კლასის საერთაშორისო ერთიანობის განსამტკიცებლად.

საბჭოთა პროფკავშირები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისა და აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს დიად კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს და აყვავდეს ჩვენი მძლავრი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი თურქეთის პრემიერ-მინისტრის ა. მენდერესისადმი

13 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა წერილი გაუგზავნა თურქეთის პრემიერ-მინისტრს ა. მენდერესს.

საბჭოთა მთავრობას, ნათქვამია წერილში, საჭიროდ მიაჩნია ახლა თურქეთის მთავრობას უყრადღება მიაპყროს საერთაშორისო მდგომარეობის საერთო საკითხებს.

ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთისა და ნატოში შემავალი სხვა ქვეყნების სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა განცხადებებიდან ჩანს, რომ ნატოს საბჭოს მომავალი სესია განიხილავს და შეიმუშავებს ახალ სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებს, რომელთა მიზანია მკვეთრად გაძლიერდეს ამ სამხედრო კავშირის მონაწილეთა სამხედრო მზადება ატომური იმისათვის და, კერძოდ, შექმნას ამერიკის ატომური და რაკეტული იარაღის ახალი ბაზები ნატოს სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე.

საქმე, ნათქვამია წერილში, ეხება გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ შემდგომ განგრძობას ნერვულობისა და ომის ფსიქოზის ატმოსფეროში, რომელიც ხელოვნურად იქმნება. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ეს არის საშიში კურსი, რომელიც კარგს არაფერს უქადის არც მის სულისჩამდგმელთ, არც საყოველთაო მშვიდობის საქმეს. როგორც ჩანს იმ მთავრობის ახლახან გამოქვეყნებული პროგრამიდან, რომელსაც თქვენ მეთაურობთ, თქვენც, ბატონო პრემიერ-მინისტრო, სამართლიანად ფიქრობთ, რომ „ცივი ომი“ ამ უკანასკნელ ხანს სულ უფრო მკაცრი და საშიში ხდება.

ეხება რა საბჭოთა კავშირის პოზიციას ახლო და შუა აღმოსავლეთის საკითხებში, ნ. ა. ბულგანინი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ქვეყანა, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ამ რაიონს სახელმწიფოებს, ღრმად დაინტერესებულია ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებით, ყველა ამ სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით, რომელსაც საფუძვლად დაედება თანასწორუფლებიანობა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა.

ნათქვამი მთლიანად ეხება აგრეთვე საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას თურქეთის მიმართ. ჩვენ სწორედ ამიტომ არ შეგვიძლია არ განვუცხადოთ თურქეთის მთავრობას ჩვენი შეშფოთება იმ შედეგების გამო, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო დაჯგუფებათა მოქმედებას, რომლებსაც თურქეთიც ეკუთვნის. ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების ხელმძღვანელობით, თურქეთის მიწა-წყალზე შექმნილია ბევრი აეროდრომი, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზები, რომელთა რაოდენობა და ხასიათი აშკარად სცილდება თურქეთის შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებათა ფარგლებს.

საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია თურქეთის მთავრობის ყურადღება მიიპყროს იმას, რომ თურქეთის მეტად საშიშ მდგომარეობაში აყენებს უცხო სახელმწიფოს მიერ თურქეთის ტერიტორიის გამოყენება თურქეთის მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ საომარი მზადებისათვის.

ჩვენი აზრით, აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ სურვილით უაღრესად მეგობრულად გააფართოხლოს თურქეთი, თუ რა შედეგები მოჰყვება მის მონაწილეობას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საომარ მზადებაში, აგრეთვე თურქეთის მთავრობის ყურადღება მიიპყროს იმას, თუ მშვიდობისათვის რა საშიში ხასიათი აქვს იმ გეგმებს, რომლებიც უნდა განიხილოს ნატოს საბჭოს მომავალმა სესიამ.

საბჭოთა მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში ხელმძღვანელობს მტკიცე რწმენით, რომ ომი თანამედროვე პირობებში არ წარმოადგენს რაღაც ფატალურად გარდუვალს. ომის წარმოშობა შეიძლება ავიცილოთ და კიდევაც უნდა ავიცილოთ თავიდან.

საჭიროა, ნათქვამია წერილში, რომ შესაბამისმა სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება — არ გამოიყენონ ატომგულის იარაღი და თუნდაც ორი-სამი წლით შეწყვიტონ ასეთი იარაღის ყოველგვარი გამოცდა. საბჭოთა მთავრობის აზრით ასეთი შეთანხმება შეიძლება ძალაში შევიდეს 1958 წლის 1 იანვრიდანვე.

თანამედროვე ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უარი თქვან სხვის ტერიტორიებზე, მათ შორის, რა თქმა უნდა, თურქეთის ტერიტორიაზეც რაიმე სახეობის ატომური იარაღის განლაგებაზე.

ჩვენი აზრით, აღნიშნავს ნ. ა. ბულგანინი, შეიძლება სერიოზულად გაუმჯობესდეს ვითარება ევროპაში და არსებითად შემცირდეს ომის საფრთხე, თუ დაიდება ამა თუ იმ ფორმით თავდაუსხმელობის შეთანხმება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შორის. ჩვენ გვგონია, რომ ასეთი შეთანხმება შეესაბამება მისი ყველა მონაწილის, მათ შორის თურქეთის უშიშროების ინტერესებს, რომელსაც საერთო საზღვრები აქვს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მონაწილე სახელმწიფოებთან.

საბჭოთა მთავრობას აგრეთვე მიაჩნია, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არამყარი მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით საჭიროა სახელმწიფოების, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის შეთანხმება იმაზე, რომ არ განახორციელონ რაიმე ღონისძიება, რომელიც დაარღვევს ამ რაიონის ქვეყნების დამოუკიდებლობას, და უარი თქვან ძალის გამოყენებაზე ახლო და შუა აღმოსავლეთთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის დროს. განა საჭიროა იმის თქმა, რომ თუ თურქეთი, ისევე როგორც ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოები, მხარს დაუჭერს ამ წინადადებას, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება ამ რაიონში მთელი ვითარების ნორმალიზაციისათვის. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ძოლისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა წერილი გაუგზავნა იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ძოლის.

წერილში აღნიშნულია, რომ ამბებს, რომლებიც ახლა მსოფლიოში ხდება, არ შეუძლიათ დიდი შეშფოთება არ გვაღრძნობინონ კაცობრიობის მომავლისათვის, მისი მშვიდობიანი განვითარებისათვის. გამალებული შეიარაღება როგორც თავისი მასშტაბით, ისე შექმნილ სახეობათა იარაღის გამანადგურებელი ძალით, აღემატება ყოველივეს, რაც წინათ იყო. „ცივი ომი“ სულ უფრო აძლიერებს სახელმწიფოთა უნდობლობას ერომანეთისადმი და იწვევს საერთაშორისო მდგომარეობის უკიდურეს გამწვავებას.

დღეს პარიზში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს მორიგი სესიის გახსნის წინ მისი მოწვევის ინიციატორები ამბობენ, რომ საჭიროა შემუშავდეს ახალი სამხედრო-სტრატეგიული გეგმები. საქმე ეხება გეგმებს, რომელთა განხორციელება ბევრად აახლოებს ახალი ომის გაჩაღების საფრთხეს.

შეიძლება თქვან, ნათქვამია წერილში, რომ იტალია არ არის ასეთი გეგმების ავტორი და რომ იგი უშუალოდ არავისთან არ აპირებს ომს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ეჭვი არ შეგვქონდა და არ შეგვაქვს იტალიელი ხალხის მშვიდობისმოყვარეობაში, მაგრამ ვერ დავივიწყებთ იმასაც, რომ იტალია არის წევრი სამხედრო ბლოკისა, რომელიც, როგორც ფაქტები მოწმობენ, დღითიდღე მუშაობს აგრესიული ომის მომზადებისათვის. თუ ახალი ომისათვის დაჩქარებული მზადების გეგმები მიღებულ იქნა ნატოს საბჭოს სესიაზე, იტალიას ხელ-ფეხს შეუკრავენ. მის მდგომარეობას განსაზღვრავს ნატოს მონაწილე ქვეყნების ეგრეთწოდებული „ურთიერთდამოკიდებულობის“ დოქტრინა.

ამბობენ, რომ გეგმები, რომლებსაც დღეს ნატოს ხელმძღვანელები ამზადებენ, ისახავენ მიზანს — დასავლეთის ცივილიზაცია იხსნან რაღაც მუქარისაგან საბჭოთა კავშირის მხრივ. მაგრამ საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, არ დამუქრებია და არ ემუქრება არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, არც იტალიას, არც რომელიმე სხვა ქვეყანას დასავლეთში თუ აღმოსავლეთში. ჩვენ გვსურს მშვიდობით და მეგობრულად ვიცხოვროთ ყველა ქვეყანასთან, მათ შორის იმ ქვეყნებთანაც, რომლებიც ნატოში შედიან.

შემდეგ, აღნიშნავს რა, რომ უცხოეთის თერმოატომგულის იარაღით შეიარაღებული საავიაციო, საზღვაო და სახმელეთო ნაწილების იტალიაში განლაგება სერიოზულ საფრთხეს უქმნის იტალიელი ხალხის უშიშროებას. ნ. ა. ბულგანინი მოაგონებს, რომ ომის წარმოშობის შემთხვევაში ამერიკის სამხედრო ბაზების არსებობა იმ ქვეყნების ტერიტორიებზეც, რომლებიც ნატოში შედიან, ამ ქვეყნებს გარდუვალად დაატეხს თავს თანამედროვე ომის მთელ დამღუპველ შედეგებს.

ვანიჭებ რა დიდ მნიშვნელობას იტალიის როლს საერთაშორისო საქმეებში და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს ქვეყანას — თავისად შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საერთო საქმეში, ზემოთ აღნიშნულთან — წერილში, ნათქვამია, — ეს ეხება ჩემს თავს, ბატონო თავმჯდომარევ, მოგახსენოთ საბჭოთა მთავრობის ზოგიერთი მოსაზრება. წერილში ნათქვამია, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ შესაბამისმა სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება არ გამოიყენონ ატომგულის იარაღი და შეწყვიტონ, თუნდაც 2-3 წლით, ასეთი იარაღის ყოველგვარი გამოცდა. საბჭოთა მთავრობის აზრით, ასეთი შეთანხმება შეიძლებოდა ძალაში შესულიყო უკვე 1958 წლის 1 იანვრიდან.

თანამედროვე ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ექნებოდა დიდ სახელმწიფოთა უარს სხვის ტერიტორიებზე, მათ შორის, რა თქმა უნდა, იტალიის ტერიტორიაზეც, ყოველგვარი სახეობის ატომგულის იარაღის განლაგებაზე.

დარწმუნებული ვართ, რომ არის შესაძლებლობა სერიოზულად შეიცვალოს გაუმჯობესების მიმართულებით მთელი ვითარება ევროპაში და არსებითად შემცირდეს ომის საფრთხე, თუ ამა თუ იმ ფორმით დაიდება შეთანხმება თავდაუსხმელობის შესახებ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის. საბჭოთა მთავრობას აგრეთვე მიაჩნია, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არამყარი მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით საჭიროა დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმება, რომ არ გადადგან არავითარი ნაბიჯი, რომელიც დაარღვევს ამ რაიონის ქვეყნების დამოუკიდებლობას, და უარი თქვან ძალის გამოყენებაზე იმ საკითხების გადაჭრისას, რომლებიც დაკავშირებულია ახლო და შუა აღმოსავლეთთან.

ბოლოს, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, აღნიშნულია წერილში, რომ არ შეიძლება ნამდვილად გაუმჯობესდეს საერთაშორისო ვითარება, თუ არ შეწყდა დასავლეთში ომის პროპაგანდა, რასაც დღითიდღე ეწევიან გარკვეული წრეები, და თუ თავისუფლად და დაუბრკოლებლად არ განვითარდა საერთაშორისო ვაჭრობა.

საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის არ ყოფილა და არ არის რაიმე შეურიგებელი უთანხმოება. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ყველა დარგში, როგორც ვფიქრობთ, შეიძლება ემყარებოდეს და კიდევაც უნდა ემყარებოდეს მეგობრობასა და ურთიერთგაგებას. სწორედ ამ მოსაზრებებს ემყარებოდა საბჭოთა მთავრობა, როცა იტალიის მთავრობას შესთავაზა საბოლოოდ გაეწმინდათ იტალია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ზოგიერთი დღემდე მოუწესრიგებელი ომისშემდგომი საკითხისაგან.

დასასრულ ნ. ა. ბულგანინმა იმედი გამოთქვა, რომ ამ მოსაზრებებს ყურადღებით განიხილავს იტალიის მთავრობა. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ე. გერჰარდსენისადმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილში, რომელიც 13 დეკემბერს გაეგზავნა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს ე. გერჰარდსენს, ნათქვამია, რომ, როგორც ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის (ნატო) მონაწილე ქვეყნების მთელ რიგ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა განცხადებებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ინიციატივით მუშავდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ნატოს მონაწილეთა გამალებული რაკეტული და ატომგულის შეიარაღების ტემპების მკვეთრი გაძლიერება. ამასთან ნატოს მთელ რიგ ქვეყნებში დასახულია შეიქმნას ბაზები რაკეტული იარაღის განლაგებისა და გაშვებისათვის. სავსებით ცხადია, რომ ამ გეგმების განხორციელება გამოიწვევდა მსოფლიოში დაძაბული მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებას.

ნ. ა. ბულგანინი აღნიშნავს, რომ ნატოს ხელმძღვანელები ცდილობენ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე შექმნილი სამხედრო ბაზები წარმოადგინონ როგორც რაღაც „შეუღწეველი ბარიერი“, რომელსაც თითქოს შეუძლია დაიცვას ეს ქვეყნები თანამედროვე ომის უბედურებისაგან, რაც გამორიცხულია რაკეტული ტექნიკისა და ატომგულის შეიარაღების ჩვენს საუკუნეში. ამასთან დაკავშირებით ამ წერილის ერთადერთი მიზანია სურვილი — გაავრთხილოს მშვიდობისმოყვარე და მეგობარი ნორვეგიელი ხალხი იმ საფრთხის გამო, რაც შეიძლება გარდუვალად მოვლინოს მას, თუ აგრესორმა ნორვეგიის ტერიტორია გამოიყენა ომის გასაჩაღებლად. ნ. ა. ბულგანინი აღნიშნავს, რომ ნორვეგია დათანხმდა მიიღოს ამერიკის რაკეტული იარაღი და რომ მის ტერიტორიაზე უკვე შექმნილია ისეთი ბაზები, რომლებზეც ჯერ უცხოელთა ჯარები არ არიან, მაგრამ რომლებიც მოწყობილია უცხოელთა შორი მოქმედების ბომბდამშენთა მისაღებად და მათ მოსამარაგებლად საწვავით და სხვა მასალებით. საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ნორვეგიის მთავრობის პოზიცია, რომელიც გამორიცხავდა ნორვეგიის ტერიტორიაზე ატომგულისა და რაკეტული იარაღის განლაგების შესაძლებლობას, არსებითი წვლილი იქნებოდა საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციის საქმეში, მშვიდობის განმტკიცების საქმეში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ევროპაში.

წერილში შემდეგ ჩამოყალიბებულია პოზიცია საბჭოთა მთავრობისა, რომელსაც არაერთგზის შეუტანია წინადადებანი, რომელთა მიზანია ნდობის დამყარება სახელმწიფოთა შორის და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღება, რომელმაც წამოაყენა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი ყველა დიდი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ, შეიტანა კონკრეტული წინადადებანი სრულიად უდისკრიმინაციოდ ვაჭრობისა და ეკონომიური ურთიერთობის სხვა ფორმების განვითარების შესახებ. მაგრამ სსრ კავშირის მთავრობის ამ წინადადებებმა ვერ ჰპოვეს იმ სახელმწიფოთა მხარდაჭერა, რომელიც ნატოში ხელმძღვანელ როლს ასრულებენ.

თუ გავითვალისწინებთ საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებს, საჭიროა, ჩვენი აზრით, მთელი გარკვეულობით ვაღიაროთ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა, როცა არსებობენ კაპიტალისტური სახელმწიფოები და სოციალისტური სახელმწიფოები.

წერილში შემდეგ ნათქვამია, რომ რეალურ გადაწყვეტას წარმოადგენს ის, რომ მტკიცედ დავადგეთ ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის გზას, რადგან მარტო ამ შემთხვევაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება.

ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა, მათ შორის განიარაღების პრობლემა, ნათქვამია წერილში, იმდენად რთულია, რომ ერთბაშად მათი გადაჭრა არსებულ საერთაშორისო ვითარებაში, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, არ ხერხდება. საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ ეს პრობლემები ვადიჭრას თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ. პირველ ნაბიჯად, რომელიც არსებითად გაადვილებდა საერთაშორისო ვითარებას, საჭირო იქნებოდა დაუყოვნებლივ გვეთქვა უარი ატომგულის იარაღის გამოყენებაზე და შეგვეწყვიტა ატომგულის იარაღის საცდელი აფეთქებანი, თავდაპირველად თუნდაც ორი-სამი წლის ვადით, რაც, საბჭოთა მთავრობის აზრით, შეიძლებოდა ძალაში შესულიყო უკვე 1958 წლის 1 იანვრიდან.

მეორე დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნებოდა დადება შეთანხმებისა თავდაუსხმელობის შესახებ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შემავალ სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის. თანამედროვე ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ექნებოდა დიდ სახელმწიფოთა უარს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, მათ შორის, რა თქმა უნდა, ნორვეგიის ტერიტორიაზეც, ყოველგვარი სახეობის ატომგულის იარაღის განლაგებაზე.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ვითარებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობის ძირეულ გაუმჯობესებას, რაც დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში, მოითხოვენ არა მარტო საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სხვა სოციალისტური ქვეყნები, არამედ ბევრი სხვა სახელმწიფოც.

შემოვიტანეს რა ჩვენი წინადადებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესება, ნათქვამია დასასრულ, ამასთან ერთად მზად ვართ უაღრესი კეთილმოსურნეობის სულისკვეთებით განვიხილოთ ის წინადადებებიც, რომლებიც შეიძლება შემოიტანონ სხვა ქვეყნებმა საერთაშორისო მშვიდობის, კერძოდ, ჩრდილოეთ ევროპის მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება დადებითი დამოკიდებულება არ გამოიწვიოს ბალტიის ქვეყნების ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწის მიერ გამოთქმულმა სურვილმა, რომ ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნებმა განაცხადონ, რომ უარს ამბობენ ძალის გამოყენების გზით გადაჭრან დავა, რომელიც შეიძლება მათ შორის წარმოიშვას.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ნორვეგიის მთავრობა ყურადღებით განიხილავს მოსაზრებებს, რომლებიც მოყვანილია ამ წერილში. ჩვენი მხრივ მზად ვართ გულდასმით შევისწავლოთ ის მოსაზრებანი, რომელთა გამოთქმასაც საჭიროდ მ

რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე
მეცხოველეობის მეჯი პროდუქტებისათვის

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში წელს საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 11,7 ცენტნერი მარცვლეული 1953 წელს მიღებული 7,2 ცენტნერის ნაცვლად. გადამეტებით არის შესრულებული სიმინდის მოსავლიანობის გეგმა. საშუალოდ ჰექტარზე მოყვანილია 25,6 ცენტნერი სიმინდი, 5,1 ცენტნერით მეტი შარშანდელთან შედარებით.

მარცვლეულის, კერძოდ, სიმინდის მოსავლიანობის გადიდებით განმტკიცდა კოლმეურნეობებში პირუტყვის საკვები ბაზა. ამან უზრუნველყო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების მკვეთრი ზრდა.

როგორ სრულდება რაიონში პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, კარაქისა და რძის წარმოების მხრივ? — აი ძირითადი საკითხი, რომელზეც განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება მცხეთის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე მომხსენებელმა — რაიკომის პირველმა მდივანმა გ. სეხნიაშვილმა და კამათში სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა.

კონფერენციის მონაწილეებმა ყურადღებით მოისმინეს სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. არჯევანიძის სიტყვა. მან აღნიშნა, რომ კოლმეურნეობამ ათ თვეში გადამეტებით შეასრულა პარტიის მოწოდების პასუხად აღებული ვალდებულებანი ხორცის წარმოების გადიდების დარგში. ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე წარმოებულია 59,6 ცენტნერი ხორცი, აქედან ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე — 37 ცენტნერი ღორის ხორცი.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში თვალსაჩინო შედეგები მოიპოვეს სოფლების ნაოზის, მისაქცელის და სხვა კოლმეურნეობებმა. მაგრამ, საბოლოოდ, რაიონის კოლმეურნეობათა ერთ ნაწილში კვლავ დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის და მარცვლეულის წარმოების გადიდებაზე არასაკმაო მზრუნველობისათვის კონფერენციაზე მკაცრად იქნენ გაკრიტიკებული სოფლების ძეგვის, ქსოვრისის, მუხრანის, არაშენდას, გალავნის, ბიწმენდის კოლმეურნეობათა გამგეობები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, პარტიის მცხეთის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგური ჯერ კიდევ არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად.

— დელეგატები, — თქვა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. მირზიაშვილმა, — სწორად აკრიტიკებდნენ აღმასკომს. რაიონის კოლმეურნეობები მთლიანად ვერ იყენებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების რეზერვებსა და შესაძლებლობებს. ცალკეულ კოლმეურნეობებში ხორცის წარმოების დაბალი დონე იმის შედეგიც არის, რომ ცუდი მდგომარეობაა ნამატის მიღებასა და გაზრდაში.

სოფელ მუხრანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ბარამიძემ გააკრიტიკა მცხეთის მტს-ის მუშაკები სამუშაოთა დაგეგმვის შესრულებისათვის. — წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ, — აღნიშნა მან, — სიმინდის დაბალი მოსავალი მიიღო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ სიმინდი გაზაფხულის მოხნულში დავთესეთ, რადგან მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა მზრალად ხვნის გეგმა ვერ შეასრულა.

კონფერენციაზე დელეგატებმა ყურადღება გაამახვილეს კულტურულ-საგანმანათლებლო და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებზე.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ი. ქადაგიძემ, რომელიც თავის გამოსვლაში შეეხო სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების საკითხებს.

მომავალი მუშაობისათვის კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები, აირჩია რაიონული კომიტეტის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კპ XVIII ყრილობის დელეგატები.

* * *

ახლადარჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. სეხნიაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ბერუჩაშვილი, მდივნად — ამხ. გ. მჭედლიშვილი.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გმირი მეომრები



როგორც ამას წინათ ჩვენი გაზეთი ამცნობდა მკითხველებს, ქალაქ კურსკში შემოხვევით აღმოჩენილ იქნა გერმანელი ფაშისტების მიერ 15 წლის წინათ ჩაწყობილი მრავალი ნაღმი და ჭურვები. ქალაქის კიროვის რაიონს საშინელი ნგრევა ემუქრებოდა. მაგრამ საბჭოთა მეომრების გმირობამ და ოსტატობამ იხსნა მრავალრიცხოვანი საწარმოები, მცხოვრებთა სახლები. ესენი იყვნენ ვ. გოლუბენკო, ლ. გორელიკი, ვ. ივაშჩენკო, ი. მახალოვი, გ. პოროტიკოვი, ა. სელივანოვი, ნ. სოლოდოვნიკოვი, მ. ტიურინი, ქ. ჰაქიმოვი, მათთან ერთად გურამ ურუშაძემ და დიმიტრი მარგეშვილმა იკისრეს ქალაქის გადარჩენა.

რვა საათის განმავლობაში ემუქრებოდა სიკვდილი ვაუკაცებს, მაგრამ იმ რწმენით, რომ გაიმარჯვებდნენ, მათ წარბიც არ შეუხრიათ. ნაღმები უვნებლად გამოიტანეს. ქალაქი გადარჩა. თერომეტმა ვაუკაცმა დიდება მოიპოვა.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ მამაცი მეომრების გურამ ურუშაძისა (მარცხნივ) და დიმიტრი მარგეშვილის სურათებს.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მგზნებარე პროპაგანდისტი

ს. სპანდარიანის დაბადებიდან 75 წლისთავის გამო

დღეს შესრულდა 75 წელი გამოჩენილი რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის სურენ სპანდარის-ძე სპანდარიანის დაბადებიდან. სურენ სპანდარიანმა მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი სიცოცხლე წესწირა კაპიტალიზმის უღლისაგან მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. იგი ეკუთვნოდა იმ პროფესიონალ რევოლუციონერთა სახელოვან პლეადას, რომლებიც ლენინიზმის იდეებზე იყვნენ აღზრდილნი.

სურენ სპანდარიანი დაიბადა 1882 წლის 15 დეკემბერს თბილისში პუბლიცისტის ოჯახში. სურენი ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1901 წელს იგი დაუკავშირდა თბილისის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომლის დავალებითაც არაერთი პასუხსაგები სამუშაო შეასრულა. 1902 წელს სურენ სპანდარიანი შედის რსდმპ რიგებში. პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ ის გადაჭრით დგება ბოლშევიზმის პოზიციებზე.

სურენ სპანდარიანმა ნამდვილი რევოლუციური ნათლობა მიიღო მოსკოვში 1905 წლის დეკემბერში, როდესაც იარაღით ხელში იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ კრასნაია პრესნიას ბარიკადებზე. მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის დროს სურენი პარტიის მოსკოვის კომიტეტის მრავალ დავალებას ასრულებდა.

აქტიური რევოლუციური მოღვაწეობისათვის სურენი გარიცხეს იურიდიული ფაკულტეტის III კურსიდან. 1906 წლის გაზაფხულზე იგი დაბრუნდა თბილისში და ჩაება არალეგალურ პარტიულ მუშაობაში. იგი ხდება რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის თვალსაჩინო წევრი, ენერგიულად იბრძვის ბოლშევიკური ტაქტიკის გატარებისათვის.

ს. სპანდარიანი აქტიურად მონაწილეობდა თბილისის, ბაქოს, ელისავეტპოლის (კიროვაბადი), ალაგერდის, ალექსანდროპოლისა (ლენინაკანი) და ერევნის მშრომელთა რევოლუციურ გამოსვლებში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა ალაგერდის სპილენძის მაღაროს მუშათა 1906 წლის აგვისტოს ცნობილი გაფიცვა. ამავე პერიოდში ის არჩეულ იქნა სომხური ბოლშევიკური გაზეთ „კაწ“-ის („ნაპერწკალი“) სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. თავის წერილებში სპანდარიანი მტკიცედ იცავდა ბოლშევიკურ ტაქტიკას, ამხილებდა მენშევიკებს, დაშნაკებსა და მშრომელი ხალხის ყველა მტერს.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო სპანდარიანის მუშაობა ბაქოში, სადაც ის გადადის 1907 წელს. აქ იგი აირჩიეს პარტიის ბაქოს კომიტეტის წევრად და ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო რაიონის შავი ქალაქის პარტიულ ორგანიზატორად.

ბაქოში სპანდარიანი დაუკავშირდა პარტიულ ხელმძღვანელებს: ი. სტალინს, ს. შაუმიანს, ს. ორჯონიკიძეს, ი. ფიოლეტოვს და მათთან ერთად უდიდესი მუშაობა ჩაატარა ბაქოს პარტიული ორგანიზაციის განსამტკიცებლად. მან უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო მუწებსა და ნავთის მრეწველთა შორის რუსეთში პირველი კოლექტიური ხელშეკრულების დადების საქმეში.

ს. სპანდარიანის რევოლუციური მოღვაწეობა მხედველობიდან არ გამოპარვია მეფის ჟანდარმერიას. სპანდარიანი 1907 წლის მაისში დააპატიმრეს, მაგრამ მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო მალე გაათავისუფლეს. 1909 წლის სექტემბერში იგი ხელმეორედ დააპატიმრეს არალეგალური პარტიული მუშაობისათვის და გაასახლეს ბაქოს გუბერნიიდან. მიუხედავად მძიმე მატერიალური პირობებისა, სერიოზული ავადმყოფობისა და მეფის პოლიციის მხრივ მუდმივი და სასტიკი დევნისა, სპანდარიანი თბილისში მაინც განაგრძობს აქტიურ პარტიულ მუშაობას.

1911 წლის გაზაფხულზე ვ. ი. ლენინის ინიციატივით პარიზში მოწვეულ იქნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირი. თათბირმა განიხილა საკითხი სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ. თათბირზე შეიქმნა კონფერენციის მომწვევი საორგანიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში აირჩიეს ს. სპანდარიანიც.

1912 წლის იანვარში პრაღაში გაიმართა ბოლშევიკური პარტიის მეექვსე კონფერენცია. საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ ს. ორჯონიკიძე და ს. სპანდარიანი.

პრაღის კონფერენციამ აირჩია პარტიის ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მეთაურობით. ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს აგრეთვე სურენ სპანდარიანი. ამავე კონფერენციაზე ს. სპანდარიანი წევრად იქნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შემადგენლობაში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ი. ბ. სტალინი.

კონფერენციაზე ს. სპანდარიანი შეხვდა ლენინს. შემდეგში გაცხოველებული მიწერ-მოწერა ვ. ლენინსა და ს. სპანდარიანს შორის ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდა სპანდარიანი ლენინს და რაოდენ მზრუნველობას იჩენდა დიდი ლენინი სპანდარიანის მიმართ.

კონფერენციიდან დაბრუნების შემდეგ ს. სპანდარიანი დიდ მუშაობას ატარებს კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პარტიულ ორგანიზაციებამდე დაყვანისათვის. კონფერენციის მუშაობის წესახებ იგი მოხსენებით გამოდის თბილისსა და ბაქოში.

ს. სპანდარიანს, როგორც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლს, მოელი რიგი წლების შანძილზე თვალყურს ადევნებდა მეფის ჟანდარმერია. 1912 წლის გაზაფხულზე ს. სპანდარიანი ისევ დაუპატიმრეს. ერთი წლის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს ციმბირში.

ს. სპანდარიანის დაპატიმრების ამბავი რომ შეიტყო, ვ. ი. ლენინმა მისთვის ჩვეული გულისხმიერება გამოიჩინა სპანდარიანის ოჯახის მიმართ. ციხე პარიზში ინახულა სურენის ავადმყოფი მამა და მატერიალური დახმარება აღმოუჩინა მას.

მიუხედავად გადასახლების მკაცრი პირობებისა, სურენ სპანდარიანი ხშირად ახერხებდა პირადი კონტაქტის დამყარებას გადასახლებაში არალეგალურად მომუშავე ამხანაგებთან, ადგილებზე მისვლითაც კი. ასე მაგალითად, 1914 წლის ზამთარში სურენ სპანდარიანი არალეგალურად მიემგზავრება სოფელ კურეიკაში, სადაც იმყოფებოდა ი. ბ. სტალინი. 1915 წლის გაზაფხულზე კი სტალინი ჩამოდის სოფელ მონასტირსკოეში, სადაც სპანდარიანი იმყოფებოდა. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის სტალინისა და სპანდარიანის მიერ ვ. ი. ლენინის სახელზე ერთად გაგზავნილი წერილი.

წლების მანძილზე დაძაბული არალეგალური რევოლუციური მუშაობისა და გადასახლების მკაცრი პირობების შედეგად სურენ სპანდარიანის ჯანმრთელობა თანდათან გაუარესდა.

მძიმე ავადმყოფი სურენ სპანდარიანი გადაჰყავთ კრასნოიარსკის საქალაქო საავადმყოფოში. 1916 წლის 24 სექტემბერს სამუდამოდ შეწყდა ამ შესანიშნავი რევოლუციონერ-ბოლშევიკის მაჯისცემა. „დადექით ლენინის დროშის ქვეშ!“ — აი სიტყვები, რომლებითაც დაამთავრა თავისი შესანიშნავი სიცოცხლე ს. სპანდარიანმა.

სურენ სპანდარიანის, ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწის, ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის პროპაგანდისტის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხის გულში.

ლ. თოდიძე.



რუსთავი. იზრდება ქართველი მეტალურგების ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი. ამას წინათ ვაგზლის ქუჩაზე კეთილმოწყობილ შენობაში გაიხსნა შ. რუსთაველის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკა: სურათზე: ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგე ა. ლორთქიფანიძე წიგნებს უცვლის ახალგაზრდა მკითხველებს.

(საქდესის ფოტო-ქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპატრონობის გამო ციტრუსები ლპება

ციტრუსოვანთა უხვი მოსავლის მოყვანის მდიდარი გამოცდილება აქვთ მახარაძის რაიონის მეციტრუსეებს. მიმდინარე სეზონში მათ დაამზადეს 27.218.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, რითაც წლიური დავალება მთლიანად გაანაღდეს. კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს ნაკისრი აქვთ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცენ 20 მილიონზე მეტი ცალი ნაყოფი.

ციტრუსების მიღება-გადამუშავებაში ყველაფერი რიგზე არ არის. ნატანებისა და მახარაძის შემფუთავ ქარხნებს ნაყოფის დასაწყობი ადგილიც არა აქვთ და დამამზადებლებისაგან ვერ იღებენ მათ. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ცალკეული კოლმეურნეები მთელ დღეებს რიგში დგანან მიმღებ პუნქტებში. ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა იძულებული გახდა 40 ტონაზე მეტი ნაყოფი ავტომანქანების გარაჟში დაებინავებინა. საქართველოს კონსერვტრესტის შემფუთავი ქარხნები ვერ იღებენ ციტრუსოვანთა ნაყოფს. კოლმეურნეობები და ცალკეული მეციტრუსეები დამზადებულ ნაყოფს შეუფერებელ ბინებში ინახავენ, რაც დიდძალი პროდუქციის გაფუჭებას იწვევს.

ერთი საყურადღებო საკითხის შესახებ: ურეკისა და ნატანების ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობები წელს 18 მილიონამდე ნაყოფს დაამზადებენ. ნატანების მეურნეობა ციტრუსებს აბარებს მახარაძის შემფუთავ ქარხანას, რომელიც მეურნეობიდან 30-მდე კილომეტრით არის დაშორებული. რატომ არ შეიძლებოდა, რომ ურეკის ან ნატანების საბჭოთა მეურნეობაში აგებულიყო შემფუთავი ქარხანა?!

შემფუთავი ქარხნები დამზადებული ციტრუსების მიღებას რომ აფერხებენ, ამის მიზეზი ისიც არის, რომ საქართველოს ზოგიერთი ორგანიზაცია დანაშაულებრივად აჭიანურებს მათთვის განკუთვნილი ციტრუსების გატანას შემფუთავი ქარხნებიდან. მოვიყვანთ ფაქტებს: თბილისის რესტორანების ტრესტის ცენტრალურ ბაზას მახარაძის შემფუთავი ქარხნიდან უნდა გაეზიდა 12 ტონა ნაყოფი, მაგრამ არ გაუტანია; „გუმათჰესის“ მუშათა მომარაგების განყოფილება მოვალე იყო წაეღო 12 ტონა ციტრუსი, მაგრამ ასევე არ წაუღია. მახარაძისა და ნატანების შემფუთავი ქარხნებიდან დიდძალი ციტრუსები უნდა გაეტანათ ჩვენი რესპუბლიკისა და რესპუბლიკის გარეშე ორგანიზაციებს, უყუთებში გამზადებულია დაახლოებით 300 ტონამდე ციტრუსი, მაგრამ ნაყოფის რეალიზაციაზე არავინ ფიქრობს. ყოველივე ეს ცნობილია საქართველოს კონსერვტრესტისა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსათვის, მაგრამ ისინი საჭირო ზომებს არ იღებენ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

დრო არ ითმენს. მალე დაიწყება სუსხიანი ამინდები. საჭიროა ენერგიულად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ დროულად უზრუნველვყოთ ციტრუსების მიღება-გადაზიდვა. ამ საქმეში სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრიათ საქართველოს კონსერვტრესტსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

„მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველა ისინი, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, გააერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს, გააძლიერებენ სიფხიზლეს ომის გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ, ბოლომდე შეიგნებენ, რომ მათი წმიდა ვალია გააძლიერონ ბრძოლა საფრთხეში მყოფი მშვიდობის დასაცავად“.

(მშვიდობის მანიფესტიდან).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე მთელი 40 წლის განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს, მის ძირითად და უმთავრეს შინაარსს წარმოადგენდა და წარმოადგენს განუხრელი ბრძოლა მშვიდობისათვის. სსრ კავშირი თანმიმდევრულად იცავს ურთიერთდაპირისპირებული სისტემების — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაქცევის, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის განსაკუთრებით გაღრმავებისა და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევის პირობებში ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის, რომელსაც კომუნიზმის მშენებელი სსრ კავშირი მეთაურობს, განვითარების ახალ პერიოდში შევიდა. ბრძოლა მშვიდობისათვის, რომელმაც მოიცვა ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტი და ქვეყანა, ხალხთა მასების მილიონები მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის, ეროვნებისა და რასის, პარტიულობისა და პოლიტიკური შეხედულებების, ფილოსოფიური და რელიგიური რწმენის მიუხედავად, თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მოძრაობაა.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ფრონტის შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და სსრ კავშირის მიერ განხორციელებულმა მთელმა რიგმა ღონისძიებებმა, რომლებიც მიმართულია აგრესორთა მხილებისა და ალაგმვისაკენ.

ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საყოველთაო-სახალხო საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დეკლარაციას, რომელიც სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირმა მიიღო და მშვიდობის მანიფესტს, მიღებულს 64 კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის მიერ. თათბირებზე მიღებულ ისტორიულ დოკუმენტებში ნაჩვენებია, თუ საიდან ემუქრება კაცობრიობას ახალი მსოფლიო ომის საფრთხე და როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება.

მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებით დაინტერესებული არიან იმპერიალიზმის რეაქციული აგრესიული ძალები, კაპიტალისტური მონოპოლიები, განსაკუთრებით ამერიკელი მილიარდერები და მილიონერები, რომლებიც უმაგალითოდ გამდიდრდნენ პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს, ახლაც მდიდრდებიან გამალებული შეიარაღების წყალობით.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხებმა უდიდესი მსხვერპლი გაიღეს ორ მსოფლიო ომში, იმპერიალისტები არ წყვეტენ აგრესიულ პროპაგანდას და ამზადებენ ისტორიაში უმაგალითო სისხლისმღვრელ ომს, გამანადგურებელ წგრევასა და უბედურებას. ამერიკელი იმპერიალისტები, მათი ინგლისელი და ფრანგი პარტნიორები არ ცხრებიან. ისინი ომის შემდგომ წლებში ეწეოდნენ ან ეწევიან საომარ ოპერაციებს ინდოჩინეთში, ინდონეზიაში, კორეაში, მალაიაში, კენიაში, გვატემალაში, ეგვიპტეში, ალჟირში, ომანსა და იემენში. ამავე დროს აგრესორები ცდილობენ თავს მოახვიონ ახლო და შუა აღმოსავლეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხებს ე. წ. „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა“ და დაიმონონ ისინი. იმპერიალისტები აწყობენ შეთქმულებებსა და პროვოკაციებს, ემუქრებიან სირიის, ეგვიპტისა და სხვა არაბული ქვეყნების დამოუკიდებლობას. ისინი უარს ამბობენ შეიარაღების შემცირებაზე, ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებისა და წარმოების აკრძალვაზე, ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, აწყობენ ახალ სამხედრო ბაზებს და საფრთხეს უქმნიან მშვიდობას, მილიონობით ადამიანთა სიცოცხლეს, საზოგადოების მატერიალურ და კულტურულ სიმდიდრეს.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები მილიარდებს ხარჯავენ ახალი ომის მომზადებისათვის, ეწევიან ჯაშუშურ-დივერსიულ საქმიანობას სოციალისტური და მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ. იმპერიალისტები ხელმძღვანელობენ ძველი აგრესიული დევიზით „გასთიშე და იბატონე“. ქადაგებენ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ოსმოპოლიტიზმსა და შოვინიზმს, აწყობენ იდეოლოგიურ დივერსიას „ნაციონალ-კომუნიზმის“ ალმით, რათა ერთიმეორეს დაუპირისპირონ სოციალისტური ქვეყნები, დაარღვიონ მათი მონოლითური ერთიანობა და ცალცალკე გაანადგურონ ისინი. იმპერიალისტები იყენებენ მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიონისტებს და მუშათა კლასის ყველა ჯურის მოღალატეს მშვიდობისა და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ათასობით გაზეთები, რადიოსადგურები და პროპაგანდის სხვა საშუალებანი ყოველდღე ჩასჩიჩინებენ ამერიკის, ევროპისა და სხვა კონტინენტების ხალხებს, რომ „მსოფლიო კომუნიზმი“ თითქოს ემუქრება მათს თავისუფლებას და ცხოვრების წესს. ყოველივე ეს იმპერიალისტებს იმისათვის სჭირდებათ. რომ დაარწმუნონ ხალხები ახალი ომის გარდუვალობაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე ლაპარაკობენ ჰიტლერისა და გერინგის ენით: „ნაკლები კარაქი, მეტი ზარბაზნები“.

საბჭოთა კავშირი უკვე აღარ არის განმარტოებული და იზოლირებული. ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე გამარჯვების შემდეგ შეიქმნა სოციალიზმის ქვეყნების ძლევამოსილი მსოფლიო სისტემა, რომელიც მოიცავს მილიარდამდე მოსახლეობას, რაც შეადგენს კაცობრიობის მესამედზე მეტს.

სოციალიზმის ძალების უმაგალითო ზრდამ ახალ საფეხურზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. საერთაშორისო ასპარეზზე შეიქმნა ვრცელი „მშვიდობის ზონა“, რომელშიც სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად შედიან არასოციალისტური მშვიდობისმოყვარე ქვეყნები. ეს ზონა მოიცავს დედამიწის უდიდეს ტერიტორიას, რომელზეც მილიარდახევარზე მეტი მცხოვრებია, ე. ი. მთელი მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობა.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იზრდებიან და მტკიცდებიან კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც შეიარაღებული არიან კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უბადლო იარაღით — მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით და რაზმავენ ხალხთა მრავალმილიონიან მასებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების უდიდეს გარანტიას წარმოადგენენ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მძლავრი მატერიალური შესაძლებლობანი. სოციალისტური ქვეყნების წილი მთელი მსოფლიოს ეკონომიკაში შეადგენს ქვანახშირის ამოღების 37 პროცენტს, თუჯისა და ფოლადის გამოდნობის დაახლოებით მეოთხედს. მთელი სამრეწველო პროდუქციის წარმოების დაახლოებით მესამედს, მარცვლეულის წარმოების 40 პროცენტს.

სოციალიზმის ქვეყნების ხალხებს, რომლებიც შეიარაღებული არიან მთელ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ტექნიკით, უდიდესი მორალური უპირატესობა და ბრძოლისუნარიანობა აქვთ. ახალ სახეობათა იარაღის შექმნის დარგში საბჭოთა კავშირმა უკვე გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს. საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა ყველაზე სრულყოფილი იარაღი შექმნეს. ჩვენ გვაქვს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები. ჩვენი სხვადასხვა სისტემის რაკეტები ისეა მოწყობილი, რომ ატომური და წყალბადის მუხტებით აღიჭურვოს და მიზანში მოხვდეს დედამიწის ყოველ რაიონში, მწყობრიდან გამოიყვანოს ყველა სამხედრო ბაზა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი.

საბჭოთა თანამგზავრები, რომლებიც გარს უვლიან დედამიწას, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი პროგრესის, უმაგალითო განვითარების მაჩვენებელია და ემსახურება მშვიდობის უზრუნველყოფას.

საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებისა და კომუნიზმისაკენ წარმატებითი სწრაფვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმ გრანდიოზული პერსპექტიული გეგმის განხორციელებას, რომელსაც სსრ კავშირი ითვალისწინებს უახლოესი 15 წლისათვის. ამ გეგმის მიხედვით საბჭოთა კავშირში სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური წარმოება, როგორც ამხ. ნ. ხრუშჩოვმა აღნიშნა თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავზე, შემდეგ დონეს მიაღწევს: რკინის მადნის ამოღება — 250-300 მილიონ ტონას, ქვანახშირისა — 650-750 მილიონ ტონას, ნავთობისა — 350-400 მილიონ ტონას, თუჯის გამოდნობა — 75-85 მილიონ ტონას, ფოლადის წარმოება — 100-120 მილიონ ტონას, გაზის მოპოვება და წარმოება — 270-320 მილიარდ კუბურ მეტრს, ელექტროენერგიის გამომუშავება — 800-900 მილიარდ კილოვატ-საათს, ცემენტის წარმოება — 90-110 მილიონ ტონას, შაქრისა—9-10 მილიონ ტონას, შალის ქსოვილებისა — 550-650 მილიონ მეტრს, ტყავის ფეხსაცმლისა — 600-700 მილიონ წყვილს.

წარმატებით მივდივართ რა წინ — კომუნიზმისაკენ, მუდამ უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის სიტყვები: „ჩვენი მხრივ საჭიროა უდიდესი სიფრთხილე... გვახსოვდეს, რომ გარს გვარტყია ისეთი ადამიანები, კლასები, მთავრობები, რომლებიც აშკარად გამოხატავენ უდიდეს სიძულვილს ჩვენდამი. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ წამს მოსალოდნელია ყოველგვარი შემოსევა... ჩვენ ვიცით, ძალიან კარგად ვიცით, რა გაუგონარი უბედურება მოაქვს ომს მუშებისა და გლეხებისთვის. ამიტომ ჩვენ უაღრესად ფრთხილად და წინდახედულად უნდა მოვეკიდოთ ამ საკითხს. (თხზ., ტ. 33, გვ. 160).

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები უძლეველი არიან. ასეთ პირობებში სავსებით შესაძლებელია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, თუ მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, მთელი მსოფლიოს ხალხები ყოველმხრივ გააძლიერებენ თავიანთ პოლიტიკურ სიფხიზლეს და არ მისცემენ ომის გამჩაღებლებს საშუალებას განახორციელონ თავიანთი აგრესიული გეგმები. მშვიდობა შენარჩუნებული და განმტკიცებული იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას.

დოცენტი ბ. ბრეგაძე.

ფილმის კინოჩვენების პროცესი.



ფილმის კინოგადაღების პროცესი.

* * *

კინოდარბაზში სინათლე ქრება. იწყება ფილმის ჩვენება. და, უცებ, პირველი კადრებიდან, დარბაზის კედლები თითქოს განზე გაიწევს და მაყურებელი აღმოჩნდება

საგჭოთა პანორამული ფილმი

გარეთ, ხედავს ჩვენი სამშობლოს სივრცეებს, მონაწილეობს მის მრავალფეროვან ცხოვრებაში.

აი დიდი სისწრაფით მიდის ავტომანქანა. თითქოს მის დია კაბინაში ზიხართ, აქეთ-იქით მინდვრები, ბაღები, სახლები მოჩანს. უცებ აღმოჩნდებით სწრაფად მიმავალ მატარებელში. გესმით ვაგონების თვლების ხმაური რელსების შესაყარში, ხიდებზე გადასვლის დროს. შემდეგ უკვე კატერში ხართ, რომელიც მიდის მდინარე მოსკოვზე, ან ლენინის გორებიდან გადაყურებთ დედაქალაქ მოსკოვს.

მოხედვას ვერ მოასწრებთ, რომ ლენინგრადში ხართ. დგახართ პეტრე I-ის ძეგლთან და ათვალიერებთ ლენინის ულამაზეს ქალაქს, შემდეგ აღმოჩნდებით პეტროდვორეცის შადრევნებს შუა, გესმით ატყორცნილი ჭავლების ხმაური.

აი ლეგენდარული კრეისერი „ავრორა". ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თქვენც ნავში ზიხართ და კრეისერის ქიმს გვერდით გაუარეთ. წამი, და აღმოჩნდით სმოლნში, სადაც უყურებთ შშობლიურ ილიჩს.

რა არაჩვეულებრივი განცდაა! სად არის კინოდარბაზი? თქვენ უკვე თვითმფრინავში ხართ და ცის სივრცეში მიბჭრით. ქვევით ქალაქები, სოფლები, მდინარეები მოჩანს.

ისევ დედამიწა. სასწაულის მომხდენი კინემატოგრაფიის მეოხებით თქვენ უკვე აღმოჩნდებით მაგნიტოგორსკში. ქარხნის მილებიდან კვამლი ამოდის, ღუმელებთან, რომლებშიც ცეცხლი ბობოქრობს, მეფოლადეებს ესაუბრებით.

ორ საათზე ნაკლები ხნის განმავლობაში მაყურებელი შემოივლის ჩვენი დიადი სამშობლოს ბევრ რაიონს: ყამირი მიწების თვალუწვდენ მინდვრებს, დონბასის დაბებს, გადაუფრენს იალბუზს, რიწის ტბას, ნახავს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალს მოსკოვში...

ამ არაჩვეულებრივი ფილმის გასინჯვა, რომელსაც ეწოდება „დიდია ჩემი ქვეყანა", მოხდა ამ დღეებში საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი კინოფოტო ინსტიტუტის საექსპერიმენტო დარბაზში. ეს არის საბჭოთა სრულმეტრაჟიანი პანორამული ფილმი, რომელიც შექმნა ინსტიტუტის შემოქმედებითმა კოლექტივმა რეჟისორ-დამდგმელის რ. კარმენის, რეჟისორ ზ. ფელდმანის ხელმძღვანელობით მოსკოვის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში.

საბჭოთა პანორამული ფილმების წარმოებისა და დემონსტრაციისათვის საჭირო აპარატურის შექმნაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და ქარხანამ. ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს პროფესორმა ე. გოლდოვსკიმ და მისი ხელმძღვანელობით კინოფოტოინსტიტუტის თანამშრომლებმა. პანორამული კინემატოგრაფიის საბჭოთა სისტემა არსებითად განსხვავდება „სინერამის" ამერიკული სისტემისაგან. მასში ოსტატურად არის განხორციელებული კინოსეანსის უწყვეტობის პრინციპი. ეს მიღწეულია იმით, რომ დარბაზის ბოლოში მოწყობილ სამ კინოსაპარატოში დადგმულია ორ-ორი საპროექციო აპარატი. სხვანირად არის მოწყობილი ხმის ჩაწერის სისტემაც. იგი წარმოებს არა ექვსი, არამედ ცხრაარხიანი სისტემით.

საინტერესო პრინციპებია განხორციელებული გამოსახულების სინქრონიზაციის სისტემის შექმნის დროს. შექმნილია ზუსტად მომუშავე მოწყობილობანი აფსკის დასახვევად, შეცვლილია კინოგადაღებისა და კინოპროექციის სიჩქარე, აგრეთვე კადრის სიდიდე ჩვეულებრივთან შედარებით.

პანორამული კინოს ეკრანი ჩვეულებრივისაგან განსხვავდება. იგი წარმოადგენს ცილინდრული ზედაპირის ნაწილს. მისი სიგანე რკალზე უდრის 19 მეტრს, ხოლო სიმაღლე 7,2 მეტრს. ასეთი მოწყობილობის მეოხებით ფილმის ჩვენების დროს მაყურებელი თითქოს სცილდება დარბაზის ფარგლებს და იმყოფება ეკრანზე მომხდარი ამბების ცენტრში.

პირველი საბჭოთა პანორამული ფილმის გასინჯვამ ცხადყო, რომ საბჭოთა მკვლევარებმა და გამომგონებლებმა, კინოს მუშაკებმა დიდი და სასარგებლო საქმე გააკეთეს.

სურათზე: ზევით კადრი ფილმიდან „დიდია ჩვენი სამშობლო", ქვევით ფილმის გადაღების პროცესისა და მისი ჩვენების სქემა „სინერამის წესით".

ნიკო ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენა

სულ რაღაც ხუთი ათეული წელია, რაც ნიკო ფიროსმანიშვილი ტკბილი ქართული ზღაპარივით მოვლინა ხალხს და მის მეხსიერებაში დარჩა როგორც უქნობი, გაუხუნებელი სილამაზე ლაღი ბუნებისა.

ნიკო ასლანის-ძე ფიროსმანიშვილი დაიბადა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, კახეთში, სოფელ მირზაანში. მისი ოჯახი ერთ-ერთ უღარიბეს ოჯახად ითვლებოდა. ამიტომ მის შშობლებს ღონე არ შესწევდათ რაიმე განათლება მიეცათ შვილისთვის. 7-8 წლისა იქნებოდა ნიკო, როცა დაობლდა. იგი საცხოვრებლად თბილისს ირჩევს და ფიზიკური შრომის მძიმე უღელში ებმება. მრავალი წლის მანძილზე ნიკო ემსახურებოდა ვინმე სირაჯ-სოვდაგარს, შემდეგ კი, დაეუფლა რა ებრების წერა-მოხატვას, შეკვეთითი სამუშაოების შესრულებას შეუდგა. ამის შემდეგ მას ხან საკუთარ დუქანში ვხედავთ, ხან რკინიგზაზე...

უთვისტომო და ყველასგან მიტოვებულმა ფიროსმანმა წვრილ ხელოსან-შინამრეწველთა წრეში დაიწყო ტრიალი. ესენი იყვნენ შემკვეთნიც და მისი ნიჭის უშუალო დამფასებელნიც. მხატვარი იძულებული იყო სარდაფებში ევლო, ებრები ეწერა, კედლები მოეხატა, რათა ამის საფასურით საღებავები ეყიდა და დაუსრულებლივ ეხატა. ფიროსმანის სურათების რიცხვი თანდათან იზრდებოდა და შემფასებელს ელოდა.

როგორც ვხედავთ, ნ. ფიროსმანიშვილს არავითარი სკოლა არ გაუვლია. ნიკომ ცხოვრებას თავისი უშუალო განწყობილებით შეხედა და ბავშვის განცდებით გადმოგვცა მისი ავი და კარგი. ნიკო ჭეშმარიტი ხალხური ხელოვანი იყო. მისი შემოქმედების მამოძრავებელ ღერძს ქართველი გლეხკაცობის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სურათების შექმნა წარმოადგენდა, ამ თემაზე მის მიერ შექმნილი ტილოების სიცოცხლისა და სიხარულის ფერებით დახატული სურათებია. თითქმის თვითეულ მათგანში ჩქეფს კაშკაშა მზის ცხოველმყოფელი ნაკადი. ყოველ მის სურათში ცხადად შეიგრძნობა შშობლიური მიწის სინოყიერე და სურნელება. ამ მხრივ მეტად საინტერესოა „რთველი". მაყურებლის თვალწინ იშლება ლამაზი პეიზაჟი შემოდგომისა სოფელში. საწნახელში ჩამდგარი, გოდორწამოკიდებული გლეხების გულისცემა გახარებთ. ამავე სიცხოველით არის შესრულებული „ქორწილი კახეთში". რას არ ნახავთ აქ! მთელი სოფელი მოსულა თავშესაქცევად. მოჩანს პატარა მთა, ეკლესია. ქალები შემაღლებულ ადგილზე დამდგარან და გაფაციცებით იმზირებიან პირდაპირ, საიდანაც ცხენოსან მაყრიონს წეფე-დედოფალი მოჰყავს. მაყრიონის წინ კარგა მანძილზე მოაგელვებს ცხენს თოფშემართული მახარობელი. ნეფე-დედოფლის შესახვედრად მორბიან პატარა ბიჭი და ძაღლი. ყავარჯნიანი მოხუციც კი გამოსულა შესაგებებლად. ირგვლივ სიცოცხლის ზეიმი იგრძნობა.

ფრიად საინტერესოა „კახეთის ეპოსი ანუ ალაზნის ველიც". ამ დიდ ტილოზე მხატვარი გასაოცარი ოსტატობით იძლევა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს სურათებს. წინა პლანზეა თავადების ქეიფი მწვანე მდელოზე, წისქვილში საფქვავის მიტანა, სალოცავში მიმავალი ხალხი ჩარდახიანი ურმებით, ყაჩაღების თავდასხმა მგზავრზე, ჩაფრების ალიაქოთი. მეორე პლანზე მოჩანს მღვდელი, დღეობაზე მოსული ხალხი ეკლესიის ეზოში...

არსენალის გორა ღამით.

ეს სამი სურათი შესანიშნავი ნამუშევარია კომპოზიციის თვალსაზრისით. მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, ისინი ყურადღებას იქცევენ განწყობილების შესანიშნავი გადმოცემით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემობა, რომ ნ. ფიროსმანიშვილი ადამიანებს გარკვეული სოციალური მდგომარეობის მიხედვით გვიხატავს. იგი უმთავრესად იმ პერსონაჟებს იძლევა, რომელთა წრეშიც დღენიადაგ ყოფნა უხდებოდა. ამიტომ მისი მედუქნეებისა და კინტოების, თავადებისა და მზარეულების, ორთაჭალელი „ტურფებისა" და ცირკის მსახიობი ქალების კოლორიტულ პორტრეტებში მთელი სიღრმით გამოჩნდა მხატვრის მიერ შესისხლხორცებული ცხოვრებისეული სიმართლე.

მეცხრამეტე საუკუნის სინამდვილეში არსებული სოციალური უთანასწორობა კარგად გადმოგვცა სურათში „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი შვილებით". აქ იგი სწორი ფსიქოლოგიური დახასიათებით წარმოგვიდგენს ამ ორი სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მდგომარეობას. აღსანიშნავია „შეშის გამყოფელი ბიჭი". ეს სურათი დახატულია შავ მუშამბაზე. ძირითადად გამოყენებულია თეთრი და შავი ფერი. აქ დიდი ოსტატის ხელი იგრძნობა, მთელი სურათი, განსაკუთრებით შეშა, ისე დამაჯერებლად არის გადმოცემული, რომ გრძნობთ მის მოცულობას, მის მწყობრ დალაგებას და გწამთ, რომ ეს ნამდვილი შეშაა.

მხატვარი განსაკუთრებული სიყვარულით წარმოგვიდგენს ცხოველთა სამყაროს. იგი უმთავრესად გატაცებულია ირმების, შვლებისა და დათვების ხატვით. ფიროსმანიშვილი ცხოველებს მრავალი ვარიაციით ხატავს. აი, მაგალითად, „ირემი წყალს სვამს". ერთი შეხედვით ეს თითქოს უძრავი სტეელია, მაგრამ საკმარისია პირუტყვს სახეში შეხედო, რომ თვალწინ სიცოცხლით სავსე არსება წარმოგიდგეს. რა გულუბრყვილო გამომეტყველებით შემოგცქერით გადაჭრილი ხის გვერდით მდგარი ირემი, ცხვირის ნესტოები დაჰბერვია და თვალები გაკვირვებით ასეიმციშვილია.

სისპეტაკე და სინაზე იგრძნობა სურათში „თეთრი დათვი ბელებით". აქაც მხატვარი არსებითად ორი ძირითადი ფერის დაპირისპირებით ოსტატურად იძლევა ფერწერის სრულყოფილ მხატვრულ ნაწარმოებს.

ნიკო ფიროსმანიშვილს დაწერილი აქვს ნატურ-მორტების მთელი სერია, რომლებიც კომპოზიციური ორიგინალობით გამოირჩევა. ნატურ-მორტებში ფიროსმანი დახვეწილი კომპოზიციის საშუალებით დიდ წარმატებას აღწევს. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია „ნატურ-მორტი", რომელზეც წარმოსახულია ხელადა, გადმობრუნებული ტიკეტორა, ლალისფერი ღვინით შეფერილი ჭიქები, გაჭრილი საზამთრო, თევზები...

მეეზოვე.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ფიროსმანი თვითნასწავლი მხატვარია, ჩვენს წინაშე იგი მაინც დიდ ხელოვნად წარმოსდგება. მართალია, იგი ხშირად არღვევს პერსპექტივის კანონებს, ადამიანის მოძრაობა სქემატურია, მისი პალიტრაც სულ რამდენიმე ფერით განისაზღვრება, მაგრამ წერის მანერა, კომპოზიციური წყობა, ფსიქოლოგიური განწყობილების მკვეთრი ასახვა გასაოცარი ძალით იზიდავს მნახველს.

ნიკო ფიროსმანიშვილის დაფასება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა. 1926 წელს გამოიცა სპეციალური მონოგრაფია, მიძღვნილი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. მხატვარ მალადო გუდიაშვილმა შექმნა მისი კოლორიტული პორტრეტი. ნიკო ფიროსმანიშვილის სურათებმა სპეციალური ადგილი დიაკავა საბჭოთა კავშირის მუზეუმებში. მისი შემოქმედებისადმი ცხოველ ინტერესს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დღეს საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გახსნილია ნ. ფიროსმანიშვილის ნაწარმოებთა საგანგებო გამოფენა, რასაც თბილისის საზოგადოებრივობა დიდი სიყვარულითა და ყურადღებით შეხვდა.

ნ. ელიაშვილი,
ი. ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი მუშაკები.

ქეიფი რთველში.

პატიოსნის ყურაღი გახვეული მტაცებლები

წითელწყაროს რაიკოოპკავშირის სისტემაში იტაცებენ სახელმწიფო ქონებას, აბუჩად იგდებენ და ატყუებენ მომხმარებლებს

მრავალი პატიოსანი მუშაკია წითელწყაროს რაიკოოპკავშირის სისტემაში. ისინი გვხვდებიან სოფლის კოოპერატივებში, მაღაზიებსა და სასადილოებში, სასაუზმეებსა და საწყობებში. მაგრამ ახლა ჩვენ მოგითხრობთ ადამიანებზე, რომლებიც გარეგნულად, ერთი შეხედვით პატიოსან პიროვნებებად მოგეჩვენებათ, სინამდვილეში კი სახელმწიფო ქონების დამტაცებლები და მომხმარებელთა მომტყუებელნი არიან.

იცნობენ თუ არა მათ წითელწყაროს რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელები? ცხადია, კარგად, მაგრამ რატომღაც ხელს აფარებენ, ცდილობენ ზემდგომ ორგანოებს ისინი წარმოუდგინონ პატიოსან, კეთილშობილ ადამიანებად, საბჭოთა ვაჭრობის ოსტატებად.

ასეთ პატიოსან მუშაკად დაახასიათა წითელწყაროს რაიკოოპკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ვაჭრობის დარგში ო. დათუკიშვილმა სოფელ არხილოსკალოს მაღაზიის გამყიდველი გ. ტუხაშვილი. ფაქტები კი სხვას მეტყველებენ. გ. ტუხაშვილმა შარშან ივლისში 5.065 მანეთი მიითვისა, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ მაღაზიიდან მაინც არ გაუძევებიათ.

გ. ტუხაშვილს ფრთები შეესხა. მადაამლილი კომბინატორი სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგეს ლ. ზურაბაშვილს დაუკავშირდა და ხელი მიჰყო საკოლმეურნეო ქონების დატაცებას. გ. ტუხაშვილმა მომდინარე წლის თებერვალში საწყობიდან მიიღო 30 ტონა მზესუმზირა, ზაგოტზერნოს საწყობს კი 20.669 კილოგრამი ჩაბარა. მითვისებულ მზესუმზირაში აღებული ფული 27.993 მანეთი კომბინატორებმა „ძმურად" გაიყვეს. რაიკოოპკავშირის გამგეობის სხდომამ კი ასეთი დადგენილება გამოიტანა (მოგვყავს უცვლელად): „ახალი მოსავლის მიღებისთანავე ამოიღონ დებიტორული დავალიანება ნატურით ტუხაშვილიდან და ზურაბაშვილიდან". ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ტუხაშვილი მითვისებული მზესუმზირას დაბრუნებას არ ფიქრობს, რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. ბაღაშვილს კი ეს გარემოება სრულიადაც არ აწუხებს.

რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელობაში გამეფებულ უპასუხისმგებლობას და სახელმწიფო ქონების მიმთვისებლებისათვის დანაშაულებრივად ხელის დაფარებას უნდა მიეწეროს ის გარემობა, რომ წელს დებიტორული დავალიანება 333,9 ათასი მანეთიდან 348 ათას მანეთამდე გაიზარდა. აქედან სხვადასხვა პირის მიერ დატაცებულია 174 ათას მანეთზე მეტი.

წითელწყაროში დანაშაულობისადმი რატომღაც ლმობიერებას იჩენენ და დამნაშავეთა რიცხვიც მატულობს. ოზაანის სასოფლო კოოპერატივის გამყიდველმა ფ. მეხრიშვილმა დახლის ქვეშ გადამალა უფაქტურო ჟაკეტი და სხვა საქონელი, წითელწყაროს სასოფლო კოოპერატივის № 1 მაღაზიის ტრიკოტაჟის სექციის გამყიდველმა ქ. ტარყაშვილმა — 180 წყვილი ქალის წინდა. სოფელ გამარჯვების მაღაზიის გამყიდველმა გ. ფიროსმანაშვილმა და სოფელ ჯაფარიძის მაღაზიის გამყიდველმა თ. შანშიაშვილმა სარეალიზაციოდ მიღებული შაქარი ღვინის ფალსიფიკატორებისათვის მისაყიდად საკუჭნაოში შეინახეს.

აღმაშფოთებელი მდგომარეობაა წითელწყაროს სასოფლო კოოპერატივის საზოგადოებრივი კვების სისტემაში (გამგეობის თავმჯდომარე მ. დარჩიაშვილი, „საჯკვების" ხელმძღვანელი შ. რობიტაშვილი). სასადილოებში პროდუქტები უფაქტუროდ შეაქვთ, საფილები ხშირად უკალკულაციოდ იყიდება. მომხმარებლებს ფასში და ზომაწონაში ატყუებენ. რაიკავშირის ხელმძღვანელობა კი კვლავ მფარველობს დამნაშავეებს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ფაქტს:

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს რაიკოოპკავშირის რევიზორმა ს. ჯორკოშვილმა შეამოწმა მდგომარეობა საზოგადოებრივი კვების სისტემაში და გამგეობის სხდომას წარუდგინა ბოროტმოქმედებათა მნიშვნელოვანი ფაქტები. მათ შორის იყო ცნობები წითელწყაროს რესტორანის მზარეულის ვლ. კირვალიძის დანაშაულის შესახებ. კირვალიძეს 5 სექტემბერს სამზარეულოში უფაქტუროდ აღმოაჩნდა 65 ფრთა წიწილა, მაგრამ გამგეობის სხდომაზე კირვალიძე პატიოსან კაცად „მონათლეს". იგი კვლავ ნაყოფიერად იღვწის, მხოლოდ... არა მომხმარებელთა ინტერესებისათვის, არამედ საკუთარი ჯიბის გასასქელებლად. 30 ნოემბერს შემოწმებისას კირვალიძეს საკუჭნაოში 7 დაკლული და 13 ფრთა ცოცხალი ქათამი აღმოაჩნდა უფაქტუროდ. მან 23 ნოემბერს 88 ქათმის ღირებულება — 3.600 მანეთზე მეტი ბუფეტს არ ჩაბარა, მითვისა.

რაიკოოპკავშირის გამგეობის და მისი თავმჯდომარის ა. ბაღაშვილის უპასუხისმგებლობას უნდა მიეწეროს ის ფაქტიც, რომ ხშირად არაკეთილსინდისიერ მუშაკებს დასჯის ნაცვლად „თბილ ადგილებს" ურჩევენ, უფრო მეტიც — აწინაურებენ.

საჭიროა ყოველივე აღნიშნულიდან საჭირო დასკვნები გააკეთონ წითელწყაროს რაიონში. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გამნიავებლებმა და მიმთვისებლებმა, უპატიოსნო მუშაკებმა, რომლებიც მომხმარებლის მოტყუების და წაგლეჯის გზას ადგახან, და მათმა მფარველებმა პასუხი უნდა აგონ.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ზოია რუხაძის ძეგლი

წელს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკში საფუძველი ჩაეყარა სამამულო ომის გმირის ზოია რუხაძის ძეგლს.

ძეგლის პროექტის ავტორია ახალგაზრდა მოქანდაკე ა. ბილანიშვილი. ძეგლის სიმაღლე იქნება 2 მეტრი და 15 სანტიმეტრი, კვარცხლბეკისა კი, რომლის ავტორია არქიტექტორი ა. ბაქრაძე, — 2 მეტრი.

ამჟამად მოქანდაკე ა. ბილანიშვილის ხელმძღვანელობით იღებენ ზოია რუხაძის ძეგლის თაბაშირის ასლს, რომელიც გაეგზავნება ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურას" ბრინჯაოში ჩამოსასხმელად.

ჩოხატაურის რაიონში

ჩოხატაური. სტალინის სახელობის ქუჩა.

მზადება მუზეუმის გახსნისათვის

გაცხოველებული მზადებაა რაიონში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნისათვის. უკვე დამთავრდა მისთვის განკუთვნილი ორსართულიანი კაპიტალური შენობის აგება. შეგროვებულია ფოტოდოკუმენტები და წერილობითი მასალები, რაიონის ბუნებისა და წარსული და ახლანდელი ცხოვრების ამსახველი საგნები და სხვ. ამ საქმეში ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად ჩაბმული არიან რაიონის მკვიდრი მთელი რიგი მეცნიერი მუშაკები, რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში მუშაობენ. ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მომავალ წელს გაიხსნება.

ზღვის დონიდან 1.600 მეტრ სიმაღლეზე

ზოტი ჩოხატაურის რაიონის ყველაზე მაღალმთიანი სოფელია, ზღვის დონიდან 1.600 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ამ მაღალმთიან სოფელში სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს. წელს გაიხსნა საშუალო სკოლა. სოფელს აქვს მაღაზია, სახერხი ქარხანა, ამბულატორია სტაციონარით, ბიბლიოთეკა, კლუბი, სადაც ხშირად იმართება წარმოდგენები ადგილობრივი და ჩამოსული ძალებით, უჩვენებენ კინოფილმებს.

ჩხავერის საბჭოთა მეურნეობაში

წელს სოფელ საკამიასერის ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა ჩხავერის საბჭოთა მეურნეობას, რომელსაც 170 ჰექტარი ფართობი უჭირავს. მეურნეობამ უნდა უზრუნველყოს 100 ტონა № 11 ქართული ღვინისა და 500 ტონა № 6-ის ჩამოსხმა. ამისათვის გათვალისწინებულია აშენდეს აქ ღვინის ქარხანა, რომელიც აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკით.

გ. ახალაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩვენმა თვითმფრინავმა ვარშავას გადაუარა, მე და ჩემმა მეგობრებმა ერთმანეთს გავუზიარეთ: საოცარია, ოდნავი შეგრძნებაც კი არ გვაქვს იმისა, რომ უცხოეთში მივფრინავთ. თითქოს ძველისძველ ნაცნობებთან, მეგობრებთან, ახლო ნათესავებთან მივეშურებოდეთ.

მგზავრთა შორის ჩვენ ოთხნი ვიყავით, რომლებიც ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის მიწვევით 18 ოქტომბერს პრაღაში მივფრინავდით: უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის უკრაინის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე კ. ზ. ლიტვინი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის წევრი-კორესპონდენტი ვ. პ. დიაჩენკო, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის კაჯიკეთის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ჰ. რახმატულაევი და მე. 19 ოქტომბერს იხსნებოდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის მეოთხე ყრილობა და ჩვენ მისი სტუმრები ვიყავით.

ჩვენი საუბარი თვითმფრინავში ტყუილი როდი გამოდგა. შეხვედრის პირველი წუთებიდანვე ვიგრძენით მეგობრული სითბო, არსად და არაფერში ოფიციალობის ნიშანწყალიც არ ჩანდა, მით უმეტეს, როცა გავეცანით ისეთ ენამახვილ ადამიანს, როგორიც ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ოლეგ ღომოლაა. მას ხომ არ შეუძლია თუნდაც ერთი სიტყვა გითხრათ ისეთი, რომ ზედ პილპილი არ მოაყაროს. ძალაუნებურად თქვენც აგიყოლიებთ და მეგობრული ბაასი სხარტი ქარაგმებით წარიმართება. ერთადერთი რაც ამ ინტიმურობას არღვევს, ეს კორესპონდენტების დაუსრულებელი ფუსფუსია. ისინი სურათებს გვიღებენ და გვთხოვენ სწორად დავუწეროთ გვარი და სახელი, რადგან ერთი საათის შემდეგ უკვე საღამოს გაზეთები დაბეჭდავენ ცნობას ჩვენი ჩამოსვლის შესახებ და ვაი თუ გვარების დაწერაში შეცდომა გაიპაროს. აი მხოლოდ ეს გაგრძნობინებთ, რომ სტუმრად ხართ.

ჩეხოსლოვაკიის ხალხს გულწრფელად უყვარს საბჭოთა ხალხი. ამ სიყვარულის, ამ გულწრფელი მეგობრობის ნამდვილი დემონსტრაცია იყო ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის მეოთხე ყრილობა, რომელიც ორ დღეს (19 და 20 ოქტომბერს) მიმდინარეობდა. ძნელია იმ ატმოსფეროს აღწერა, რომელიც სუფევდა დარბაზში. საბჭოთა ხალხის პატივსაცემად ხშირად იმართებოდა მქუხარე ოვაციები. ტრიბუნასთან გამოსულ ჩეხოსლოვაკ ორატორებს არ შეუძლიათ ოლიმპიური სიმშვიდით წაიკითხონ მოხსენება ან სიტყვა. ყოველი მათგანი ცდილობს მოქნილი ფრაზებით თუ არა, ინტონაციით მაინც შეუნთოს ცეცხლი თავის ნათქვამს. და ეს ცეცხლი ელვის სისწრაფით ედება მთელ აუდიტორიას.

ყრილობაზე ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირი დაჯილდოებულ იქნა უმაღლესი ჯილდოთი — რესპუბლიკის ორდენით. ეს მეგობრობის პირველი საზოგადოებაა, რომელმაც მაღალი ჯილდო მიიღო. რესპუბლიკია ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნა მეგობრობის კავშირის აქტიურ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი.

ეს კავშირი 1925 წლიდან არსებობს. მაშინ იგი ატარებდა „საბჭოთა კავშირთან კულტურული და ეკონომიური ურთიერთობის საზოგადოების" სახელწოდებას. 1930 წელს შეიქმნა აგრეთვე „საბჭოთა კავშირის მეგობრების კავშირი" 1948 წლის 21-22 თებერვალს კავშირის პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე ეს ორი ორგანიზაცია გაერთიანდა და შეიქმნა „ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირი". კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გამოჩენილი მეცნიერი, საბჭოთა ხალხის უდიდესი მეგობარი აკადემიკოსი ზდენეკ ნეედლი.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარე აკადემიკოსი ზდენეკ ნეედლი (მარცხნივ), ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. კოპეცკი და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ღომოლა.

* * *

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირი მშრომელთა უაღრესად მძლავრი მასობრივი ორგანიზაციაა. იგი 2 მილიონ წევრს ითვლის, აქვს თავისი ცენტრალური კომიტეტი, საოლქო და რაიონული კომიტეტები, ათასობით პირველადი ორგანიზაცია ქარხნებსა და დაწესებულებებში, სოფლებში, სკოლებში და სხვ. მეგობრობის კავშირი ლექციების, მოხსენებების, საუბრების საშუალებით აცნობს ჩეხოსლოვაკიის ხალხს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებას, მის მიღწევებს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ სფეროში. კავშირი ფართოდ ნერგავს ჩეხოსლოვაკიის ფაბრიკებსა და ქარხნებში საბჭოთა მრეწველობის მოწინავე მუშაკთა გამოცდილებას, შრომის ახალ მეთოდებს. განსაკუთრებით სწავლობენ და გადააქვთ მუშაობის მეთოდები სოფლის მეურნეობის დარგში. ეს გასაგებიც არის, ამჟამად ჩეხოსლოვაკიის გლეხობა დიდ ენთუზიაზმს იჩენს სოფლად უმაღლესი ტიპის კოოპერაციული მეურნეობის შექმნის საქმეში. 1957 წლის 15 სექტემბრისათვის ჩეხოსლოვაკიაში უკვე ჩამოყალიბებული იყო 10.736 კოოპერაციული მეურნეობა.

კავშირი დიდ მუშაობას აწარმოებს საბჭოთა ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში. ამ პროპაგანდას ეწევიან საბჭოთა ლიტერატურის მეგობართა წრეები, ბიბლიოთეკები. დიდი რაოდენობით ითარგმნება საბჭოთა ხალხების როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე ლიტერატურა ჩეხურ ენაზე. მეგობრობის კავშირს აქვს თავისი საკუთარი, საკმაოდ მძლავრი გამომცემლობა („სვეტ სოვეტუ"), რომელიც გარდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემისა, ძირითად მუშაობას საბჭოთა ხალხების ლიტერატურის თარგმნაზე წარმართავს. ამ თარგმანებში ღირსეული ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურასაც. ჩეხურ ენაზე უკვე თარგმნილია ჩვენი ხალხური ზღაპრები, ილია ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. ჭონქაძის, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძის, ა. ქუთათელის, ა. ჭეიშვილის და სხვ. ნაწარმოებები. თარგმანთა უმრავლესობა ეკუთვნის ქართული კულტურის დიდ მოყვარულს, პრაღის უნივერსიტეტის პროფესორს იარომირ იედლიჩკას.

ამჟამად იედლიჩკას გამოსაცემად უკვე გამზადებული აქვს შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი". „საქართველოში მეორედ ბაშინ ჩამოვალ, როცა შემეძლება ჩემს ქართველ მეგობრებს გადავცე უკვე დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი"—ეს უკვდავი ქმნილება დიდი რუსთაველისა", მითხრა თავისი ტკბილი ქართულით იარომირმა, როცა ძველი პრაღის ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში დამატარებდა. ქართული ლიტერატურისადმი დიდ ინტერესს იჩენენ იარომირ იედლიჩკას გამოზრდილი ვაცლავ ჩერნი და ივო ვაცულინი. ორივენი გამომცემლობა „სვეტ სოვეტუში" მუშაობენ, იციან ქართული ენა და დიდი სურვილი აქვთ თარგმნონ ილია ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებები, ქართული ხალხური პოეზია. როდესაც შევნიშნე, რომ ვაჟა-ფშაველა ცოტა ძნელი სათარგმნელია და ხომ არ ისურვებთ დასახმარებლად ბწკარედების გამოგზავნას საქართველოდან, ახალგაზრდა მთარგმნელებმა ცოტა იწყინეს და მითხრეს: ბწკარედით თარგმნა რა საკადრისია, ჩვენ მხოლოდ დედნიდან ვთარგმნით, როგორმე დავძლევთ ვაჟასაც, თუ რამე გაგვიჭირდა, ჩვენი იარომირი აქ არა გვყავს! ეჭვი არ არის, რომ იქ, სადაც ასეთი ძლიერი მონდომებაა, ყველაფერი გაკეთდება. ჩემში დიდ სიხარულს იწვევდა ჩეხოსლოვაკი მეგობრების ასეთი გატაცება ქართული ლიტერატურით. მიხაროდა, რომ ჩვენც გვყავს

ქართული ხალხური ცეკვის საღამო

ქართული ხალხური ცეკვის დამახასიათებელი ანსამბლი უკანასკნელ თვეებში დაძაბულ შემოქმედებითს ცხოვრებას ეწეოდა. იგი მუშაობდა ახალ ცეკვებზე, რომლებიც ძველი პროგრამების საუკეთესო ცეკვებთან ერთად უნდა აჩვენოს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მომავალ დეკადაზე.

საბჭოთა კავშირის დედაქალაქში გამგზავრების წინ ანსამბლი ამ ცეკვებით გამოვიდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

ყველა ცეკვა დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ი. სუხიშვილმა, რომელმაც კვლავ ცხადყო, რომ ქართული საცეკვაო ფოლკლორის ჩინებული მცოდნე და დიდი გემოვნების მხატვარია. კონცერტის პროგრამა გვარწმუნებს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ანსამბლის ხელმძღვანელები კოსტიუმებს და როგორ აღრმავებს მხედველობითს შთაბეჭდილებას განუმეორებელი ნიჭი შესანიშნავი მხატვრის ს. ვირსალაძისა, რომელმაც შექმნა კოსტიუმების განსაცვიფრებელი ესკიზები ყველა ცეკვისათვის.

მეტ წილ ახალ ცეკვებს სიუჟეტი აქვს. „ხევსურული სიუიტა“ სიყვარულის თემაზეა შექმნილი.

მოცეკვავეებში განსაკუთრებით გამოირჩევიან: ზ. ქველიძე, გ. ჯიბლაძე, ე. კალაძე, ა. სალუქაშვილი, ა. ბუაძე.

„აჭარული სიუიტა“ დამდგმელს მოუფიქრებია როგორც დიდი კომპოზიცია ოთხი ცეკვისაგან: ლაზური, გადახვეული ხორუმი, მხარული და განდაგან.

უკანასკნელ ხანს შესამჩნევი გახდა, რომ აჭარული ცეკვების ბევრი დამდგმელი და შემსრულებელი ხალხურ საფუძველს შორდება და ცეკვების ტემპერამენტისა და დინამიკის გადმოცემაში შეაქვს გარეგნული ეფექტისათვის ნავარაუდევი გადაჭარბება. საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი ყველა ცეკვას ასრულებს ზომიერების სრული გრძნობით და გამართული სტილით.

ლაზების ცეკვა განზომილი, რიტმულად მკაფიო მოძრაობით ასახავს თევზის ჭერის პროცესს. მოცეკვავეებს მოსირმული ეროვნული შავი კოსტიუმები აცვიათ.

ორკესტრში სხვა მელოდია გაისმის და წარმოიშობა მეორე ეპიზოდი — გადახვეული ხორუმი, რომელიც გადმოგვცემს მხედრული ცეკვის უკანასკნელ მომენტს — მეომართა გამარჯვებას მტერზე. ამ ცეკვაში მსახიობები განსაკუთრებით მკაფიოდ ავლინებენ აჭარელთა ნებისყოფას, ენერგიას და მდიდარ სულიერ ძალას. შემსრულებელთა წარმატებას ხელს უწყობს კოსტიუმი. ბიც. ჯერ გამოდის ოთხი მოცეკვავე ღია ცისფერი ჩაქურებითა და შავი შარვლებით; მათ ცვლის ალისფერ ჩაქურებიან მსახიობთა ჯგუფი. ხოლო მათს ფონზე გამოდის ქალთა ჯგუფი. პირველ ქალიშვილს შავი კაბა აცვია, მეორეს — წითელი, ძესამეს — ცისფერი. კოსტიუმები მორთულია სირმით, ხავერდით. სამი ფერის ერომანეთთან შენაცვლება ფერადოვან სანაადობას ქმნის.

სიუიტა მთავრდება სასუმარო ცეკვით — განდაგან, რომელსაც ჩინებულად ასრულებენ მსახიობები ი. ცინცაძე, თ. კიკალეიშვილი და ე. კალაძე.

სცენაზე გრიგალივით შემოიჭრება ვაჟთა ჯგუფი. მათ მუქი წითელი ფერის ჩოხები და თეთრი ახალუხები აცვიათ. ასე იწყება აფაზური ცეკვა. აქ წამყვან როლს ვაჟები ასრულებენ, მაგრამ ქალთა ჯგუფიც ცეკვავს. მათს ტანსაცმელში დაცულია ფერადოვანი გამის ერთიანობა.

ეომხიბლავია „ქალიშვილთა ნარნარი ცეკვა“.

... დარბაზს ნაცნობი მელოდია ეფინება. სცენაზე შემოდიან გამჭვირვალე პაეროვანი მოვარდისფრო-იისფერი ტანსაცმლით გამოწყობილი ქალიშვილები. მათს მშვიდ სახეებს ღიმილი დასთამაშებს, მათი გრაციოზული მოძრაობა მომხიბლავია, თბილი ლირიზმით არის აღსავსე.

ამ ცეკვისათვის დამდგმელს უწოდებია „სატრფიალო“. ცეკვა შთაგონებულია ძველი თბილისის ქალაქური ფოლკლორით.

შავი ხავერდის ქულაჯებით გამოწყობილ ახალგაზრდათა ჯგუფი ელის საყვარელ ქალიშვილს. კეთილშობილური მოძრაობით ისინი გამოხატავენ თავიანთ აღტაცებას და მისდამი თაყვანისცემას. აი გამოჩნდა ქალიშვილიც. მისი ღია ფირუზისფერი კოსტიუმი ლამაზად გამოირჩევა ვაჟების ხელში მოფრიალე მუქი იისფერი ცხვრისახოცების ფონზე. ცეკვა სრულდება სწრაფი ტემპით, დიდი ემოციური აღმავლობით. გატაცებით ცეკვავს ნინო რამიშვილი. შესანიშნავმა მსახიობმა აქაც, ისევე როგორც სხვა ცეკვებში, კვლავ გვიჩვენა თავისი შთაგონებული ხელოვნების განმასხვავებელი ნიშნები: ცეკვის სტილის დახვეწილი გრძნობა, ღრმად ჩაწვდომა მის არსში, ცეკვის სურათის გრაფიკული სიზუსტე, მისი სიცხადე და მკაფიობა.

ანსამბლმა ახლად დადგა რამდენიმე ეტიუდი ციკლიდან „ძველი თბილისი“.

ბევრი ახალი ელფერი შეუტანია დამდგმელს დავლურში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქართული ცეკვაა.

დავლურის ახალ დადგმაში კვლავ გაგვაოცა ს. ვირსალაძემ. ქალების ტანსაცმელი მოცემულია იისფერი და ნაცრისფერი საღებავების გამით, ვაჟების ჩოხებში იგივე ფერები სჭარბობს.

დავლურში სოლო პარტიებს საუცხოოდ ცეკვავენ მარინე მხეიძე და ომარ მხეიძე.

ანსამბლი საგასტროლოდ იმყოფება პარიზში.

ლ. ლიაძე.

* * *

სურათზე: ანსამბლი ასრულებს ქართულ ხალხურ ცეკვას.

ალბანელი სპეციალისტები საქართველოში

ერთ თვეზე მეტ ხანს იყო საქართველოში ალბანელ სპეციალისტ ჰიდროტექნიკოსთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მთავარი ინჟინერი მაჩო ვეში. სტუმრები ეცნობენ ახალ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და სარწყავ სისტემათა მშენებლობას და მოქმედ ნაგებობათა და სისტემათა მუშაობას.

სტუმრებმა ინახულეს სტალინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის მეტალურგიული ქარხანა და ზუგდიდის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატი. გორში მათ დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუპრავამ.

ალბანელ სპეციალისტთა ჯგუფი გაემგზავრა სტავროპოლის მხარეში. (საქდესი).

გასამართლება სიჩიანში

დამასკო, 13 დეკემბერი. (საქდესი). საგანგებო სამხედრო ტრიბუნალმა დაიწყო სირიაში იმ ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების მონაწილეთა საქმის გარჩევა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოამზადეს.

ძლიერი მიწისძვრა დასავლეთ ირანში

თეირანი, 13 დეკემბერი. (საქდესი). დღეს ქერმანშაჰის (დასავლეთი ირანი) რაიონში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. როგორც აქ გამოირკვა, სოფლებში სახნეხში და პარსუნგში არის მრავალი მსხვერპლი.

ოფიციალური მონაცემები მიწისძვრის შედეგების შესახებ ჯერ არ არის გამოცხადებული.

გამოირკვა, რომ ბევრი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ.

ირანის ხელისუფლები იღებენ ღონისძიებებს, რათა დახმარება გაუწიონ დაზარალებულ მოსახლეობას.

მოკლედ

◉ ფედერალურმა სასამართლომ კარლსრუეში გაამართლა დასავლეთ გერმანიის ცნობილი პროფკავშირული მოღვაწე აგარცი, რომელსაც ბრალად ედებოდა „ანტიკონსტიტუციური ურთიერთობა“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფალ გერმანულ პროფკავშირთა გაერთიანებასთან. ამავე დროს სასამართლომ გაამართლა აგარცის პირადი მდივანი ლუდვიგი.

◉ როგორც გაზეთი „პარი-პრეს-ენტრანსიჟანი“ იუწყება, ჰავრის ნავსადგურის საბუქსირო გემების ეკიპაჟების 9 დღის გაფიცვა დამთავრდა მეზღვაურთა გამარჯვებით. გაფიცულებმა მიაღწიეს იმას, რომ დაკმაყოფილეს მათი მოთხოვნები შრომის პირობებისა და ანაზღაურების გაუმჯობესების შესახებ.

მფრინავის მილიონები

თბილისის სამოქალაქო აეროდრომზე დიდი ფუსფუსი იყო. ზოგი თვითმფრინავში ჩაჯდომას ელოდებოდა, ზოგი თავისიანს აცილებდა ან ხვდებოდა. ამაყად იდგნენ ფრთაგაშლილი საჰაერო ხომალდები. აგერ ერთი მათგანი გასრიალდა ასაფრენ ბილიკზე, შემდეგ კი ჰაერში ლამაზად შეჰკრა კამარა. მგზავრების ერთი ნაწილი მოუთმენლად ელოდა თვითმფრინავ მოსკოვი-თბილისს გამოჩენას. ზუსტად დანიშნულ დროზე ჰაერში გაისმა მოტორის გუგუნი, მზის სხივებზე ალაპლაპდა განიერი ფრთები. როგორც კი თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა, მფრინავის კაბინიდან გადმოვიდა სამოქალაქო ავიაციის ფორმით გამოწყობილი წარმოსადეგი ვაჟკაცი. იგი მეგობრული ხელის აწევით მიესალმა დაბლა მდგომ მფრინავებს და დინჯად ჩამოვიდა კიბეზე. მას მიჰყვნენ ეკიპაჟის დანარჩენი წევრები.

— უმატებ კილომეტრებს შენს მილიონებს? — ღიმილით მიმართა ლევან თალაკვაძეს რაზმის უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში გ. ომაძემ.

— სულ მალე 3 მილიონ კილომეტრს მივაღწევ, — უპასუხა ლევანმა და მაგრად ჩამოართვა ხელი.

თუ შევკრებთ თალაკვაძის იმ საათებს, რომლებიც მან ჰაერში დაპყო, გამოვა, რომ იგი თითქმის ორ წლამდე იმყოფებოდა დედამიწის ზევით.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ლევანი ოცნებობდა გამხდარიყო მფრინავი. ხშირად საათობით იდგა თბილისის აეროკლუბის აეროდრომის ღობესთან და ადევნებდა თვალს თვითმფრინავების მოძრაობას. მდიდოდა წლები, რუსი მფრინავების გმირულმა გადაფრენებმა საბოლოოდ გადაწყვეტინა ლევანს, რომ რადაც უნდა დასჯდომოდა მფრინავი გამხდარიყო.

აი 1937 წელს ლევან თალაკვაძე თბილისის აეროკლუბის კურსანტია. ერთი წლის შემდეგ ის ამავე კლუბში იწყებს მუშაობას ინსტრუქტორად და უკვე სხვებს ასწავლის ფრენას. პირველ ხანებში ლევანი მარტივ თვითმფრინავებზე მუშაობდა, ხოლო შემდეგ თითქმის ყველა ტიპის საბჭოთა საჰაერო ხომალდი გამოსცადა.

12 წლის განმავლობაში თალაკვაძე მუშაობდა ეკიპაჟის უფროსად და მისი თვითმფრინავები დაჰქროდა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მიმართულებით. სულ ორი თვეა, რაც ლევანი სამოქალაქო ავიაციაში ესკადრილიის უფროსად დანიშნეს. ახლა იგი თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავებს. მათთან ერთად კვირაში ორჯერ-სამჯერ მოგზაურობს თვითმფრინავით და ეხმარება ჯერ კიდევ გამოუცდელ მფრინავებს.

თალაკვაძის გარდა, „მილიონერი“ მფრინავები არაერთი ჰყავს თბილისის აეროპორტს. ესენია ეკიპაჟის უფროსი ვ. კუპავა, რომელსაც სამი მილიონი კილომეტრი აქვს ნაფრენი; ორ მილიონ კილომეტრზე მეტი აქვთ გაფრენილი პ. ავაკიმოვს, მ. გეჟოიანს, ვ. პეტროვს, გ. ხურციძეს, ე. მოშიაშვილს და სხვებს.

მილიონერ მფრინავებს მოსკოვის, ტაშკენტის, რიგის, კიევისა და სხვა მიმართულებით ყოველდღიურად მიჰყავთ მგზავრების ახალი და ახალი ჯგუფები.

ლ. ხუბულური.

სურათზე: ლ. თალაკვაძე გაფრენის წინ.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

ქალაქის ქრონიკა

(დასასრული)

ამ რამდენიმე დღის წინათ ვაცლავ ჩერნი თბილისს ეწვია და უშუალოდ გაეცნო ქართველი ხალხის კულტურას.

გულთბილ საუბარში ნათელი გახდა, რომ მეგობრობა კიდევ უფრო მეტს გვავალებს, რომ ჩეხოსლოვაკური და ქართული კულტურის ურთიერთ გაცნობის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

მეგობრობის კავშირის დიდი მუშაობის შედეგია ის, რომ ჩეხოსლოვაკიაში დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება რუსულ წიგნებზე.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში აქ გაყიდულია რუსულ ენაზე 11,5 მილიონი წიგნი. მეგობრობის კავშირი დიდად უწყობს ხელს რუსული ენის გავრცელებას ჩეხოსლოვაკიაში. შექმნილია რუსული ენის სახალხო კურსები. უკანასკნელი საზი წლის განმავლობაში მუშაობდა ასეთი კურსების 40.537 წრე, რომლებშიც გაერთიანებული იყო 547.985 კაცი.

მეგობრობის კავშირის უშუალო ინიციატივით ხშირად იმართება საბჭოთა ფილმების ფესტივალი (ბეტ წილად შესანიშნავ საკურორტო ქალაქ კარლოვი ვარში), ეწყობა საბჭოთა მხატვრული კოლექტივების გამოსვლები, გამოფენები და სხვ.

ვინ ჩამოთვლის კიდევ ყველა იმ ღონისძიებას, რომლებსაც მეგობრობის კავშირი აწყობს, რათა მთელი სიმართლით დაანახვოს საბჭოთა ქვეყანა ჩეხოსლოვაკიის ხალხს, უჩვენოს ნამდვილი მეგობრები. კლემენტ გოტვალდმა თავის დროზე ამ კავშირს უწოდა კომუნისტური პარტიის პირველი თანაშემწე ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობას ღრმა და მტკიცე საფუძველი აქვს. იგი შედეგდაბებულია ჩეხოსლოვაკი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ერთად დაღვრილი სისხლით ბნელეთის ძალებთან ბრძოლაში. ამ ორ ხალხს შორის ნამდვილი მეგობრობა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მშფოთვარე დღეებში იშვა. მაშინ რუსეთის პროლეტარიატის მხარდამხარ ჩეხოსლოვაკი წითელგვარდიელებიც იბრძოდნენ. ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

სანამ კლემენტ გოტვალდის მაგზოლეუმში მიხვიდოდეთ, გაივლით პანთეონს, სადაც დაკრძალული არიან ჩეხოსლოვაკიის გამოჩენილი მოღვაწენი. მათ შორის შეხვდებით ერთ საფლავს, რომელსაც ოქროსფერი ასოებით აწერია. იულიუს ფუჩიკი. ეს საფლავი ცარიელია, მასში ფუჩიკის ნეშტი არ ასვენია, რადგან გერმანელ ფაშისტებს არ უზრუნიათ მისი შენახვისათვის. იგი მხოლოდ სიმბოლურად გაგონებთ იმ დიდ ჩეხოსლოვაკ პატრიოტებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს განთავისუფლებას.

პრაღის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სოფელი ლიდიცე. ეს სრულიად ახალი სოფელია, ახალი მშენიერი სახლებით, ბარდის მდელოთი და ძმათა სასაფლაოთი. ძველი სოფელი კი, რომელიც აქ 1942 წლის ივნისამდე იდგა, აღარ არსებობს. მას სურათებში თუღა იხილავთ. 1942 წლის ივნისში სოფელი ლიდიცე გერმანელმა ფაშისტებმა მიწასთან გასწორეს, ყველა მამაკაცი დახვრიტეს, ხოლო ქალებისა და ბავშვების უმრავლესობას საკონცენტრაციო ბანაკებში, საცდელ ლაბორატორიებსა და გაზის კამერებში ამოხდეს სული. ლიდიცეს ტრაგედიას შესანიშნავად მოვლილი ძმათა სასაფლაო მოგაგონებთ.

ასევე შესანიშნავად არის ზოგლილი საბჭოთა მეომრების საფლავები. მრავალმა საბჭოთა ადამიანმა შესწირა თავი ჩეხოსლოვაკი ხალხის განთავისუფლებას.

და განა ამის შემდეგ საკვირველია, რომ ჩეხოსლოვაკმა ხალხმა საბჭოთა ხალხი თავის მეგობრად და ძმისწულად მიიჩნია!

— ჩვენ არ დაგვავიწყდება მიუნხენის შავი დღეები, როცა საბჭოთა კავშირმა ძმური დახმარების ხელი გამოგვიწოდა. არც ის უანგარო დახმარება, რაც საბჭოთა ხალხმა ომისშემდგომ პერიოდში გაგვიწია, — გვეუბნება მეგობრობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი იან ნემეცი.

ეს დახმარება და ეკონომიური თუ კულტურული თანამშრომლობა დღესაც გრძელდება. ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის ბევრი დარგი მარაგდება საბჭოთა ნედლეულით, რკინის მადნით, ფერადი ლითონებით, სინთეზური კაუჩუკით და სხვ. საფეიქრო ფაბრიკებისათვის საჭირო ნედლეულის თითქმის ნახევარი საბჭოთა კავშირიდან შედის. საბჭოთა კავშირს შეაქვს ჩეხოსლოვაკიაში ისეთი იარაღ-მანქანები, რომლებიც ხელს უწყობენ ჩეხოსლოვაკიის სათბობი, ენერგეტიკული, სამთამადნო, მეტალურგიული ბაზისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი აწვდის ჩეხოსლოვაკიას საკვებ პროდუქტებს. სამაგიეროდ საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიისაგან იღებს მანქანებს, სამანქანო მოწყობილობას, სამომხმარებლო საქონელს და სხვ. საბჭოთა კავშირის დახმარებით ჩეხოსლოვაკიაში უკვე მუშაობს პირველი ატომური რეაქტორი.

ჩეხოსლოვაკიაში ყოფნისას ჩვენ მრავალი ფაბრიკა, ქარხანა, საწარმო, კულტურის ძეგლები და ღირსსახსოვარი ადგილები დავათვალიერეთ, რომლებმაც ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს. მაგრამ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ დაგვრჩა ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობიდან, ეს იყო შეხვედრები მუშებთან, გლეხებთან, პიონერებთან, მეგობრობის კავშირის წევრებთან, კულტურის მოღვაწეებთან და ხელმძღვანელ ამხანაგებთან. ეს შთაბეჭდილება წარუშლელი დარჩება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხალხს ჩეხოსლოვაკი ხალხის სახით ნამდვილი მეგობარი ჰყავს.

ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში მხცოვანი აკადემიკოსის ზდენეკ ნეედლის სიტყვები. ჩვენს დელეგაციასთან საუბარში მან სხვათა შორის თქვა: მე პროფესიითა ისტორიკოსი ვარ, მაგრამ ძველი ისტორია არ მიყვარს. მე ვეთაყვანები მომავლის ისტორიას!

და მართლაც, საკმარისია გონების თვალით გახედოს კაცმა მომავლის ისტორიას და დანახავს, რომ ეს იქნება სულ ახალი ისტორია, ხალხთა დიადი მეგობრობის ისტორია. მის ფურცლებზე ოქროს ასოებით აღიბეჭდება აგრეთვე ჩეხოსლოვაკი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ძმური მეგობრობა.

ვ. ძოწორაძე,
უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.

მეტალურგიის უძველესი კერა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა წელს ბოლნისის რაიონში ეგრეთწოდებულ „რკინის წყლის“ უბანში ძველი სამთამადნო წარმოებისა ნაშთების შესწავლის მიზნით გაგზავნა აოქეოლოგიური ექსპედიცია.

აი რას ეოგვითხრობს ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ი. გრძელიშვილი:

ორიოდე წლის წინათ, „რკინის წყლის“ სანახებში, რკინის მადნების ბუდობების ძიების დროს ახალი სამთო გამონამუშევარი მოულოდნელად დიდი ზომის ძველ მაღაროში შეიჭრა. ეს მაღაროო ზედაპირიდან 80 მეტრ სიღრმეზეა, მისი სიგრძეა 80 მეტრი, სიგანე 40, ხოლო სიმაღლე — 5-10 მეტრი. იგი მაშინ დეტალურად დავათვალიერეთ. ერთ ადგილას, სადაც ქვის „მაგიდა“ იყო გამართული, აღმოჩნდა კერა, ცხოველთა და ფრინველთა ძვლების ნაშთები, თიხის ჭურჭლისა და მოჭიქული ჯამების ნატეხები.

წელს მაღაროს გათხრის შედეგად გამოირკვა, რომ „რკინის წყლის“ მადნის საბადოებს ზედაპირზე ორი გამოსავალი აქვს, ერთი — სამხრეთი კალთის ძირზე და მეორე — ჩრდილოეთ ფერდობზე, ბიღდადის ხეობაში. სამხრეთით მდებარე გამოსავლის ხაზის გასწვრივ რამდენიმე დახრილი ძველი გვირაბია, სადაც მადნის დროებითი შესახანი, ნახევრად მიწური ნაგებობის ნაშთებია განლაგებული. აქ აღმოჩნდა მრგვალი ქურის ნაშთები, რკინის წიდისა და გაყვიდებული თიხის ბილების დიდი გროვები.

წარმოების ამ ძველი პუნქტის მახლობლად საკმაოდ ეოზრდილი ნასოფლარია. იგი უნდა იყოს სოფელი თალა, რომლის შესახებ გარკვევით მიგვითითებს იქვე ეკლესიის ყარიბების წარწერა. ნასოფლარი ორი ფენისაგან შედგება. ქვედაში ძოკცეულია ქვემო ქართლისათვის დამახასიათებელ ნაგებობათა სადგომების — დარბაზის, მარნის და სათონის ნაშთები, ზედაში — პირველისაგან განსხვავებით — სამჭედლოები. ამ უკანასკნელში უხვად აღმოჩნდა რკინის ნამჭედური წიდა. ჩანს, სოფელი მჭედლობას დიდი მასშტაბით ეწეოდა. ქვედა ფენა თარიღდება XII-XIII საუკუნეებით, ხოლო ზედა— XVI-XVIII საუკუნეებით.

ჩრდილოეთით მდებარე დიდ მაღაროსთან არის ძველი გზა, რომელიც მკვეთრი დაქანებით ეშვება ბიღდადის ხეობის ძირში. აქ ტერასებზე აღმოჩნდა საკმაოდ დიდი ხასოფლარი და ეკლესიის ნანგრევი. ექსპედიციამ ერთი ნასახლარი გათხარა. სახლის კოპალექსში შედიოდა დარბაზი, თაღლა, ფაანაბი, საკუჭნაო და გვერდით ცალკე ორი სათავსო, ეზოში მოხოდილი კალო და ხევის პირას ფერდობზე — საძელი. ამ განათხარ ადგილებში აღმოჩნდა XII-XIII საუკუნეების ფერადმინის სამაჯურებისა და მოჭიქული ჯამების ფრაგმენტები, რუსუდანის მონეტა (XIII ს.).

ნასოფლარის ახლოს ბევრია სხვადასხვა ნაგებობის ნაშთები და ნამჭედური წიდის გროვები. ექსპედიციამ რკინის წიდის ერთი ასეთი დიდი გროვა და იქვე კულტურული ფენა გათხარა. გამოირკვა, რომ აქაც XII-XIII საუკუნეების ნაშთებთან გვაქვს საქმე. ამრიგად, ამ საუკუნეებში სოფელ ბიღდადს სამჭედლოების ცალკე უბანიც ჰქონია. აქედან გამოგვყავს დასკვნა, რომ „რკინის წყლის“ ტერიტორიაზე მადანს ორ უბანზე ამუშავებდნენ: ჩრდილოეთ უბანზე XII-XIII საუკუნეებში და სამხრეთ უბანზე — XVI-XVIII საუკუნეებში.

ე. მამალაძე.

ურო ძახილზე

სოფელში თვალი მიჩვეული ჰქონდათ: ამ გზაზე ცისმარე დილას მოხუცი თადა გამოიელიდა. რომ შეგეხედათ, იტყოდით, ქარი დაუბერავს და წააქცევსო. უცხო ვერც დაიჯერებდა, რომ მისი წვრილი მკლავები ახლაც რკინას ჭიდავენ.

ერთხელ თადა აღარ გამოჩნდა ამ გზაზე. მაშინვე შენიშნა ყველამ. გამოიკითხეს, და მოხუცი თურმე ავად გამხდარიყო. სოფელს ამბავი მიეფინა — საცოდავი დაბრმავებულა, სამკურნალოდ ქალაქში წაუყვანიათო. შეუუხდენენ მეზობლები. ხმები კი სულ უფრო უარესი მოდიოდა ხაბუმეში. ცუდი ამბის მოლოდინში იყვნენ, რომ ერთ დღეს კვლავ ეროს ძახილმა გამოაღვიძა სოფელი. ყველამ მიატოვა თავისი საქმე და სამჭედლოს მიაშურა, გაჭვარტლული შენობის თავზე ბოლქვებად ამოდიოდა ლურჯი ბოლი. ნუთუ თადაა?

იმ დღით სამჭედლოს კარი მართლაც თადას გაეღო. იდგა ქურასთან, ხელში ურო ეჭირა და ძველებურად ურტყამდა რკინას.

მანამდე თადა სათვალეს ატარებდა, ახლა კი აღარც სათვალე ეკეთა. თვითონაც უფრო მოკეთებულიყო. წვრილ ლურსმანს არჩევდა კოლოფში — უთუოდ ამათ დასანახავად: ხედავთ, თვალი როგორ მიჭრისო. მისცევდნენ მოხუცს: — თადა ბაბუა, სათვალე რა უყავი?

— ხობის წყალს გავატანე, მომარჩინეს, და ახლა თქვენზე უკეთ ვხედავ, მკლავიც თქვენზე მეტად მერჩის, — თითქოს ნიშნს უგებდა მოხუცი. „გაჯავრებული“ იყო თადა: თავი მოაბეზრეს, მოხუცდი, რაღა დროს შენი მუშაობაა, კოლმეურნეობის გამგეობა პენსიას დაგინიშნავსო. სახლში იჯექი, შვილი კარგი გყავს და შვილიშვილები, იხარეო. ასანთივით ინთებოდა, და ვინც მოსვენებას ურჩევდა, მტერივით მოიძულებდა.

— ორი წელიწადი, ოთხი თვე და ოცი დღე მაკლია ას წელიწადს, — ითვლის მოხუცი. ამ დღის მოლოდინში გული ელევა. დიდი ქეიფი უნდა გადავიხადოო. სოფელიც ემზადება, მაშინ, ალბათ, თადა ძველებურად შემოსძახებს სიმღერას, კრიმანჭულს გაიხსენებს. განთქმულ მომღერალს ბადალი არა ჰყავდა ერთ დროს. ქართული ხალხური სიმღერების ოსტატებს შორის ხშირად იხსენიებენ თადა გოგუას, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სიმღერების გავრცელებაში. გრიგოლ კოკელაძე მიცნობს, ფირფიტაზე აქვს ჩაწერილი ჩემი სიმღერებიო, — ამბობს მოხუცი.

სოფლის ბიჭები მოირბენენ ხოლმე სამჭედლოში, ეხვეწებიან, თადა ბაბუა, ხანჯალი გამოგვიჭედეო.

— ხანჯალი და თოფი რად გინდათ, — უპასუხებს მოხუცი. — თოფსა და ხანჯალს მაშინ ვჭედდით, როცა სიცოცხლე გვეშინოდა, ახლა აჯობებს იმღეროთ, ჩონგური მოიტანეთ, ლარებს დაგიჭიმავთ.

დილიდან გვიან ღამემდე თადა სამჭედლოშია. გიზგიზებს ქურა. სამჭედლოს თავზე კვამლი ადის. ისმის ეროს ხმა, და ყველა მშვიდდება — მოხუცი კარგად არის. ეროს ძახილი თადას გულისცემასავით გაისმის სოფელში.

გულნარა გახტაძე.

ნეკროლოგი

გ. კ. გედევანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა საკადმყოფოებისა შეუდგა. გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მანქანათმშენებლობისა და მეტალურგიის დარგის სპეციალისტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გიორგი კონსტანტინეს-ძე გედევანიშვილი.

გ. კ. გედევანიშვილი დაიბადა 1883 წელს მცხეთაში. 1915 წლიდან, პეტერბურგის სამხედრო-საარტილერიო აკადემიის დამთავრების შემდეგ, იწყება მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომლის განმავლობაშიც მას ეკავა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამხედრო-საინჟინრო თანამდებობანი, 1925 წლიდან იგი მუშაობდა საქართველოს ლითონტრესტის მთავარ ინჟინრად.

გ. კ. გედევანიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნაში.

1928 წელს იგი ინიშნება ინსტიტუტის ელექტრომექანიკური ფაკულტეტის დეკანად, ხოლო 1930 წელს — ინსტიტუტის პროორექტორად სასწავლო ნაწილში. ამავე წლიდან იგი სათავეში უდგას მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრას, ხოლო ამავე დროს, 17 წლის განმავლობაში, ხელმძღვანელობს ლითონთა ტექნოლოგიის კათედრას თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

1944 წელს გ. კ. გედევანიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

გ. კ. გედევანიშვილი არჩეული იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარედ და პრეზიდიუმის წევრად.

გ. კ. გედევანიშვილის კალამს ეკუთვნის 30 სამეცნიერო შრომა.

თავისი მოღვაწეობის 35 წელი მან მოანდომა საინჟინრო და სამეცნიერო კადრების აღზრდას.

გ. კ. გედევანიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს გ. კ. გედევანიშვილის დამსახურებას. 1943 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის სამაგალითო წოდება. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით.

გამორჩეული ინჟინრისა და მეცნიერის, გულისხმიერი პედაგოგის გ. კ. გედევანიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მის მრავალრიცხოვან მოწაფეთა და მეგობართა გულში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილება.
საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი.

ვ. დონაძე—ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის კათედრის გამგემ ვ. დონაძემ მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის ლენინის ორდენიანი სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ზ. ფალიაშვილის შემოქმედება“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. დონაძისათვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიკუთვნება.

რედაქტორი პ. რატიანი.

კინოთეატრის ბილეთებით სპეკულანტები

ამ დღეებში თბილისის კინოთეატრ „ამირანის“ წინ მლეიციის მუშაკებმა დააკავეს ახალგაზრდები ლევან სოსიანი და იური არუთინოვი, როცა ისინი კინოთეატრის ბილეთებს ზემეტ ფასში ჰყიდდნენ. სოსიანს ჯიბეში აღმოაჩნდა 48 ბილეთი, ხოლო არუთინოვმა დაკავების დროს ბილეთები დახია და გადაყარა.

გამოირკვა, რომ სოსიანმა კინოთეატრ „ამირანის“ მოლარ